


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,  
ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას,  
ცყილებით და ჭაბრით ბუძის  
გაცანა ყულა უჯარბისდბაგ  
უსამაგლესია.

**დაარსებულია**  
1918 წელს.

სამუშაოთი, **30** ივლისი, 2013 წელი.  
№142 (7269)

# რუსეთის

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

## რუსეთის პრეზიდენტი, ალბათ, უნდა დაიბრუნოს თავის დაპირებას



რუსეთში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ქრისტიანი მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებით ცალკე დოკუმენტის შექმნას დაპირდნენ, ამის შესახებ ილია მეორე „მე-9 არხთან“ ინტერვიუში აცხადებს. როგორც უწინდესი აღნიშნავს, რუსეთის პატრიარქმა მას სიტყვა მისცა, რომ აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობის საკითხი ცალკე იქნება განხილული.

„რუსეთის პატრიარქი მობრძანდა ჩვენთან. პატრიარქმა მომცა სიტყვა და ეს არის პრეზიდენტ პუტინის აზრიც. მას უთქვამს კიდევ პატრიარქისთვის – რატომ არ შეიტანეთ დოკუმენტში აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ლტოლვილების თემაო. შემპირდნენ, რომ ცალკე იქნება ეს საკითხი განხილული და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამას. აქედან უნდა დაიწყო ჩვენ ლტოლვილების დაბრუნება თავის კერაზე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ლტოლვილები დაბრუნდნენ. რუსეთის პრეზიდენტი, ალბათ, უნდა დაიბრუნოს თავის დაპირებას“, – ბრძანა უწინდესმა.

ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწინდესი და უნეტარესი ილია მეორე მსოფლიოს მართლმადიდებელ პატრიარქებთან ერთად მინსკში იმყოფება. რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს ბელორუსის ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო პირები დახვდნენ.

## „საპრეზიდენტო პრეზენტებზე ქართველმა ხალხმა კოპიტიას უნდა უთხრას არა“

კარგად გაარკვიონ, როგორ ფინანსდებოდა მეთიუ ბრაიზა. კიდევ მათიას იორში და სხვა ადამიანები რომ ჩამოდიოდნენ და მათ მხარეს იკავებდნენ. გაარკვიონ ეს ყველაფერი, რადგან საზოგადოებაში გონივრული ეჭვი არსებობს, რომ ამათ 9 წლის განმავლობაში ხელს უანგაროდ არავინ აფარებდა.

## არაჩვეულებრივი ნაცების გამოფენა

ვაი, თქვენს პატრონს, ისევე ახალ იდეებზე რომ ფიქრობთ. კარგად ვიცით თქვენი ახალი იდეები – გაუმჯობესებულად ხალხის გაუბედურება, გაუმჯობესებულად ხალხის გაუპატიურება და წამება, გაუმჯობესებულად ბიუჯეტის სანსვლა და ა. შ.



## „მიხარია, რომ გარდაგაპალი პერიოდის იდეალური პრეზიდენტი ვიყავი“



## ნანუკიანი, ანუ კვერცხისა და ქათმის შოუ



## რას ულის ირანის ხალხი რუსეთისგან?

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..**

პრაიმიერიზი

არაჩვეულებრივი ნაცების გამოფენა

სამთავროს ჩვენი კინოკლასიკის შედეგადან — ელდარ შენგელაიას უკვე დავი ფილმიდან დავესესხებოთ რეჟისორსა და სცენარისტს ბატონ რეზო გაბრიაძეს. „ექსპო ჯორჯიის“ ტერიტორია თბილისში წერეთლის გამზირზე ჩემს ბავშვობაში შენანიშნავი ბაღით და კინო „კოსმოსით“ იყო ცნობილი. უჩვეულებრივად საზღვარგარეთულ ფილმებს, რომლებსაც სხვა კინოთეატრებში ვერ ნახავდით (მოგვიანებით ეს ფუნქცია საბურთალოზე მდებარე კინო „გაზაფხულმა“ ითავა), ბაღში ერთობოდნენ ბავშვები, ასეირნებდნენ შინაურ ცხოველებს. 70-იან წლებში (წელი ზუსტად აღარ მახსენდება) პირველად საქართველოში, სწორედ აქ ჩატარდა ამერიკული გამოფენა. ეს იყო პირველი დია „შენება“ ოკეანისგალმელთა უახლეს ტექნიკასთან — ვიდეოპანორამა, ტელეფონები, ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ნივთები. დიდიდან ვიდეო რიგში, რათა თვალის შეგვედგოთ არა მარტო ტექნიკისათვის, არამედ ცოცხალი ამერიკელებისთვისაც, რომლებიც ამ გამოფენისთვის სპეციალურად გამოშვებული ჟურნალებითა და სამკერდე ნიშნებით გვასაჩუქრებდნენ. მათ შორის ერთი ქართველიც ვრია, ემიგრანტის შთამომავალი.

ტებს“ გახდინენ და „ვოლგას“ იყიდინენ, საფლავის ძეგლიც ვერ ეღირსებოდა, გამოფენაზე ეპატიყება აგული თავის რუს მე-



„უღლეს გლამას, აქ ცოცხალმკვდართა გამოფენა მოეწყო, რომელსაც ნაცებმა პრაიმიერიზი დაარქვეს. სირცხვილის კორიდორის მომწყობებს მართლაც არ დასჭირვებიათ იმის მტკიცება — „ცხვირი ჰგავს? ჰგავს! თვალები ჰგავს? ჰგავს! ტუჩი-ნიკაპი ჰგავს? ჰგავს!“ ისედაც იცნობდნენ უცხვირიპირო ნაცებს.

ამის მაგალითი იყო ყოფილი პოლიტპატიმარი ირაკლი ჭუბაბურია, რომელმაც ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე ერთ კილომეტრში დაინახა გაორგი კანდელაკი და სულ „კათამო, ქათამო“ ეძახა. ახლა, რადგან 100-ლარიანი ჯარიმით გამოშვებული ბატონი ირაკლი, ვიტყვი რომ მგონი კანდელაკს პატარა სილაქიც მოხვდა (ოღონდ არა ირაკლისგან), ისეთი პატარა, რომ ეს სადღაც 20-25 ლარის ფარგლებში იყო და სამართალდამცვეებს იქვე უნდა გამოეწერათ ეს ოცლარიანი ქვითარი და პოლიტპატიმარი სასამართლოში არ წა-

ნაცისტს. თუ გულში აგინებდა, და ეჭვიც არ მეპარება ეს ასე იქნებოდა, ამისთვის ჯარიმა არ უნდა გადაახდებინო კაცს.

ეს იყო პრაიმიერიზი უზნეოთა შორის უზნეოს გამოსავლენად — განაცხადა აქციის მონაწილე უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ.

მართლაც მთელ საქართველომოვლილმა, დედანაგინებ და ლაყვეკვერცხებდაშინებულმა პრაიმიერიზმა როგორც იქნა გამოავლინა თავიანთი რჩეული, ყველაზე გამოჩენილი უზნეო (ქალბატონ ნანას დავესესხებ) დავით

ბაქრაძე, რომელსაც „გამარჯვება“ თვით რუსმა კარდინალმა გიგა ბოკერიამ მიულოცა.

დამთავრდა არაჩვეულებრივი გამოფენა „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში — დამთავრდა დავით ბაქრაძის გამარჯვებით, რომელმაც თავისი სეფე სიტყვა ასე დაასრულა. „მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც იბრძოლა პრაიმიერიზის იდეისთვის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ახალი იდეა დაეგვიდგინა“.

ვაი, თქვენს პატრონს, ისეც ახალი იდეებზე რომ ფიქრობთ. კარგად ვიცით თქვენი ახალი იდეები — გაუმჯობესებულად ხალხის გაუმჯობესება, გაუმჯობესებულად ხალხის გაუმჯობესება და წამება, გაუმჯობესებულად ბიუჯეტის სანსვლა და ა. შ. და ა. შ.

რა ხდება, ამდენი პოლიციელი რომ დგასო? — იკითხა სათვალისანმა მოხუცმა, რომელმაც სულ არ იცოდა პრაიმიერიზის შინაარსი. — ნაციონალები პრაიმიერიზს ატარებენ, ბაბუ! — ყურში ჩასძახა

სივართლე კი ასეთია!

სააკაპულია აშშ-ის ჩაშვება ლაიფში

სააკაპულია ნათქვამმა, 2011 წლის 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით, დიდი აუიოტაფი გამოიწვია. გახარებულმა პოლიტიკოსობამ, მათი ჯიბის ექსპერტობამ და შესაბამისმა მედიამ ლამის „დავლური“ დაუარეს. „სომ ვამბობდით, ეს კაცი თქვენი მოლაღობა, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ უნდა დარწმუნდეთ მის ორპირობაში“.

მიმართვის ადრესატი აშშ-ის ადმინისტრაცია იყო. ქუჩის ოპოზიციის წარმომადგენლები, აქაოდა ამერიკულ უკანალში თავის შეყოფის შანსი გაჩნდაო (ცხადია, პატივცემული მიხეილის იქედან გამოდგენის შემდეგ), ისეთ ვიშვიშს მოჰყვნენ, თეთრსახელეობამას რომ ცრემლებს აღვრევინებდა. „ნუ, ნუ, ნუ, ეს რა თქვა შელგმა მიხეილმა. როგორ გაუბედა ამ გუგულივით პატიოსან ამერიკას დარბევის გეგმაში მონაწილეობის მიღებაო.“

ტყუილი და გამიზნული ავანტიურაა ესო, ჩვენი საყვარელი მეგობრის, ძმადნაფიცის, სტრატეგიული პარტნიორის წმიდნა სახელის გასაშავებლად, საქართველო-ამერიკის ერთმანეთზე გადასაკიდებლადო“, — ბრძანა გია კობახიძემ.

როგორ შეიძლება მეგობარი ამერიკის აუგად მოხსენიებაო, ისმოდა სხვათა ხმებიც, შეპარული ოცნებით სააკაპულიის ამერიკელთა მიერ დასასჯელად. როდესაც შენ ვერაფერს უხერხებ, იქნებ სხვამ (ამერიკამ) მოუხერხოსო, — ამ გულისნადებით ლაღებდნენ ყველანი, ვისაც გზა აქვს გახსნილი მედიისკენ.

არადა, სააკაპულია ახალი არაფერი უთქვამს, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტი, რაც აშშ-ის მანინდელმა ელჩმა ბასმა ბრძანა.

მომიტირებო დაშლის წინ ისეთი რამ თქვა, დაშლა რომ არ ნდომოდა კაცს, ისიც ისე მოიქცეოდა, როგორც მიშა. დაშლის შემდეგაც, მიუხედავად პოლიციის მიერ ჩადენილი სისასტიკისა, ბასის „შემაჯამებელი“ განცხადება აშკარად — ჩადენილი დანაშაულის გამამართლებელი იყო.

ბასი აშშ-ის წარმომადგენელი გახლავთ — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. განა ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სანგრძლივი, მონური, თვალში ციცივის პოლიტიკა შეეცვალოს? ნუთუ დაუჯერებელია ის ამბავი, რომ კარგა ხანია აშშ-ს შვედრდნაძის, მეტადრე სააკაპულიის ხელით აკეთებდა იმას, რასაც ანტიეროვნული პოლიტიკა ჰქვია. ამაში ახალი არაფერია, ვინაიდან აშშ-ის ქვეყანაა, რომელიც მსგავს ქმედებას სჩადის იქ, სადაც გასდის. საქართველო სწორედ ის ქვე-



ყანაა, სადაც ამერიკას გასდის და მომავალშიც გაუფა ენ. პოლიტიკოსების და ამერიკაზე „ავასნად“ შეეკარებულნი საზოგადოების გამო.

კამლატ შივაპვილი, პოლიტოლოგი.

გავიდა დრო და თბილისური „ვედეენა“ „ექსპოჯორჯიად“ მონათლა და თვე არ გავა, რომ დედაქალაქის სტუმრებსა და თბილისელებს მშვენივრად ორგანიზებული გამოფენები არ მოუწყო. ეს იქნება წიგნის ფესტივალი, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა თუ ავეჯის გამოფენა-გაყიდვა, პირადი პიგიურის საშუალებებისა და კოსმეტიკის განუსაზღვრელი არჩევანი.

და, ჰოი საოცრებაც. ნაციონალებმა შოუ-სანახაობად ქვეყნის თავიანთი პრაიმიერიზის ბოლო აკორდი სწორედ აქ ჩამოჰკრეს. მართლაც არაჩვეულებრივი გა-



მოფენა გამოვიდა. აგული ერისთვის გამოფენა რა მოსატანია ამათთან. იქ თუ ვარდაცვლილთა (ბოდიშს ვიღობთ ბატონ ბონასთან, მხოლოდ მას ეღირსა სიცოცხლეში „დიდი“ მოქანდაკის საჭრეთლით უკვდავყოფა მხოლოდ იმის შიშით, რომ მისი შვილები უკანასკნელ „შიბლე-



ეყვანათ. რაც შეეხება მეორე „დამნაშევე“ პოლიტპატიმარ ფრიდონ მერებაშვილს, მისი დაჯარიმება-დაპატიმრება მართლაც გამიკვირდა. ის მანქანიდანაც არ გადმოსულა და შესაბამისად არც გაჰკიდებია გვარის შემრცხვენიელ, კურდღელივით გაქცეულ და პოლიციის ზურგსამოფარებულ

იქვე მდგომმა აქციის მონაწილემ. — აბა უნიტაზებში გამოფენა-გაყიდვა იქნებოდა? — ხელი ჩაიქნია ბაბუმ და გზა განაგრძო. მართალიც იყო, სად საგამოფენო დარბაზი და სად „ერის მომავლისთვის მზრუნველთა“ პრაიმიერიზი?

გამოპა ვაშაბიძე

ალიან-ჩალიანი

მარგველაშვილმა ბაქრაძის გამონწყა მიიღო

„ძართული ოცნების“ საბრუნოდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი დავით ბაქრაძის შეთავაზებას პასუხობს. „ნაციონალური მოძრაობის“ საბრუნოდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე გიორგი მარგველაშვილს დებატების სერიას სთავაზობს.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა ბოლნისში, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, დებატების სურვილი რამდენიმე კანდიდატმა გამოთქვა და ყველას თანაბრად მიეცემა შესაძლებლობა, საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.

— რამდენიმე კანდიდატმა მოინდომა დებატები, ეს ნორმალურია. დებატები ჩატარდება ისეთ ფორმატში, რომელსაც ყველა საბრუნოდენტო კანდიდატს მიეცემა შესაძლებლობა თავისი პოზიციის დაფიქსირების. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ, „ძართული ოც-

ნება, ამ ნაწილში დაიცავს ერთიან სტანდარტს, ექსკლუზივებს ჩვენ არავის არ მივცემთ, შესაძლებლობა აზრის გამოხატვისა და დაფიქსირების ყველას აქვს, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

დავით ბაქრაძემ მარგველაშვილი დებატებში პარტიის შემაჯამებელი პრაიმიერიზის დასრულების შემდეგ გამოიწვია.

პროკურორებს მკასრი, მებრამ სამართლიანი ხელი სჭირდებათ

ამის შესახებ აცხადებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მისი თქმით, პროკურორებს სჭირდებათ „მშობელი“, რომელიც გარეთ მათ ინტერესებს დაიცავს, შიგნით კი — წესრიგს დააყვარებთ. თეა წულუკიანი პროკურატურასთან ბევრი კითხვა აქვს, თუმცა აცხადებს, რომ „პროკურატურის შესახებ,

კანონში ცვლილებების შემდეგ ამ კითხვების დასმა კანონით აეკრძალა.

— ვეთანხმები პრემიერს, რომ პროკურატურა დღეს სუსტია და ვერ უმკლავდება იმ უსამართლობის განცდას, რაც საზოგადოებაშია. პროკურატურას ჰყავს სელმძღვანელი, რომელსაც ნოემბრის შემდეგ აბსოლუტური დამოუკიდებლობა ჰქონდა. ახლა ეს გაფორმებულია კანონით. ვფიქრობ, ყველამ პასუხი უნდა აგოს იმ საქმეზე, რაც აბარია. მგონია, რომ პროკურორებს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხელი სჭირდებათ. არ ვთვლი, რომ პროკურორები გაუსაძლისი წნეხის ქვეშ უნდა იყვნენ, მაგრამ სიმკაცრე საჭიროა მათ მიმართ, ვინც ხალხის უბედურებაში ფეხი ჩადგა, — აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

თეა წულუკიანის ვარაუდით, პროკურატურაში კადრებთან ერთად მიდგომების პრობლემაც არსებობს და აუცილებელია, პროკურორებს თავიანთი მოვალეობები კარგად განემართოს.

06ტმპრპრსი

# პრეზიდენტობის კანდიდატი

– ძალბატონი ნინო, თქვენ მარგველაშვილს არ მიიწვევთ ძლიერ კონსერვატივად, მაგრამ ჰქონდათ თუ არა მნიშვნელობა თქვენთვის ვის დაასახელებდა „ქართული ოცნება“?

– უპირველესად, რაზეც მე ყურადღებას ვამახვილებ ის არის, რომ ქვეყანაში აუცილებელია დაბალანსებული ხელისუფლების არსებობა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რის გამოც ვამბობ, რომ „ქართულ ოცნებას“ არ უნდა ჰყავდეს კანდიდატი. ჩვენთვის, მთავარია, ერთი პოლიტიკური ძალის ხელში არ იყოს კონცენტრირებული სრული ძალაუფლება, როგორც ეს იყო მოქალაქეთა კავშირის ან ნაციონალური მოძრაობის დროს, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქვეყანას. საქართველოში დაბალანსებული ხელისუფლების არსებობა აუცილებელია იმ პირობებში, როდესაც არ არის გაძლიერებული დემოკრატიული ინსტიტუტები, არ არის ისეთი ძლიერი ინსტიტუტები, როგორებიცაა პარლამენტი, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო. აუცილებელია, ქვეყანაში პრეზიდენტი იყოს სხვა გუნდის წარმომადგენელი, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ბიძინა ივანიშვილზე და მას შეეძლება თავისი განსხვავებული აზრის გამოთქმა.

ამის გარდა, ძნელად წარმოსადგენია დასახელებს ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც აქვს ჩემზე მეტი გამოცდილება, ჩემზე მეტი ცოდნა, კომპეტენცია და საერთაშორისო კავშირები აბსოლუტურად ყველა მიმართულებით დედამიწის ოთხივე მხარეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ძნელი იქნებოდა ეს სახელები ისეთი კანდიდატურა, რომელზეც ვიტყვოდი, რომ ის არის ხსნა საქართველოსთვის. თუკი ასეთი გამოჩნდება დღესაც, უპირველესად ადგილზე დავაყენებ ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ ნამდვილად გვევრა მე და ჩემს თანამებრძოლებს, სწორედ ჩვენ გვაქვს უნარი ქვეყანა გამოვიყვანოთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიც დღეს არის. ჩვენს მოქალაქეებს საკმარისი მხარე გამოცდილება აქვთ დაგროვილი იმისთვის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღონ, წავიდნენ წინ და გაარღვიონ ჩაკეტილი წრე. ასე რომ, ხალხის მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს.

– იყო ვარაუდები, ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება პრეზიდენტად წარადგინოს ნინო ბურჯანაძე. თქვენ გქონდათ ამის მოლოდინი?

– არა, ამის მოლოდინი ნამდვილად არ მქონდა. არც მივიქრია, რომ ასეთი ვერსიის განხილვა შესაძლებელი იქნებოდა. მე სხვა რამეს ვფიქრობდი, რაც, ჩემი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა. ბიძინა ივანიშვილი უნდა დამდგარიყო თავის კოალიციაზე მალა (ყველამ იცის, რომ კოალიცია თავიდან ბოლომდე მასზეა გამოზრდილი, მისმა ავტორიტეტმა განაპირობა ძალიან ბევრი რამ და ისიც, რომ ამ კოალიციის წევრები არიან დღეს წარმოდგენილი მმართველ ელიტაში), საერთოდ არ წარმოედგინა საპრეზიდენტო კანდიდატი, და ეთქვა, რომ ის ხელს შეუწყობს დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბებას, ითანამშრომლებს იმ პრეზიდენტთან, რომელსაც აირჩევს ხალხი. ეს იქნებოდა მართლაც იდეალური ვარიანტი, უდავოდ შექმნიდა კონსერვატიულ საარჩევნო კამპანიას. ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი გიორგი მარგველაშვილს გარკვეულ უპირატესობას აძლევს სხვა კანდიდატებთან შედარებით. თუმცა, ხალხი თანდათან ხედება იმასაც, რომ კოალიციის კანდიდატის გამარჯვება არაფერს არ მატებს „ქართულ ოცნებას“. ეს ადამიანები ისედაც არიან „ქართულ ოცნებაში“ და ამავე დროს ვხედავთ, რომ ეს გუნდი ვერ უშვლავდება მთელ რიგ პრობლემებს, ანუ შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება. ეს იგივე კარუსელია, რასაც სააკაშვილი ატრიალებდა. მარგველაშვილი ვიცე-პრემიერი იქნება თუ პრეზიდენტი, ამით „ოცნების“ უნარი, გადამწყვეტის პრობლემები, არ გაიზრდება.

ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ძალიან გაძლიერდება ბიძინა ივანიშვილის საქვეყნო პოზიციები. იმედი მაქვს, ჩემი არჩევის შემთხვევაში, ჩემთან ინტენსიურად ითანამშრომლებს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, საქართველოს დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, იდეალური იქნება ბურჯანაძე – პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი – პრემიერ-მინისტრი.

– რაღაც კომპიტიაციის რეჟიმში ხომ არ მოგიწევთ თქვენც თანამშრომლობა?

– კომპიტიაციის ის მახინჯი ფორმა, რაც დღეს ხდება ნაციონალურ მოძრაობასთან, ჩემი პრეზიდენტობის პირველივე დღიდან დამთავრდება. ეს არის დანაშაული, როდესაც შენ თანამშრომლობ და მასზევე ორგანიზაციასთან. მინდა, გავახსენო ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ რომ პირველ ოქტომბერს ხალხს მათთვის ხმა არ მიუცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ჩასახუტებლად. რაც შეეხება ჩემს თანამშრომლობას ბიძინა ივანიშვილთან, ეს არ იქნება კომპიტიაცია, არამედ ეს იქნება ელემენტარული უფლებამოსილების გადახანცილება.

კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი ვალდებულია ითანამშრომლოს პარლამენტთან და ამ პარლამენტის მიერ მხარდაჭერილ მთავრობასთან. სააკაშვილისგან განსხვავებით, ნამდვილად არ ვაპირებ ოპოზიციას ყოფნას. მე ვიქნები ყველას პრეზიდენტი, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წევრებისაც, რომელსაც არ ჩაუდგია დანაშაული. ამავე დროს, იმ ნაციონალების უფლებასაც დავიცავ, რომლებიც დამნაშავეები არიან და საპრობლემა ალმოწინდებიან.

– ქ-ნო ნინო, ცნობილია თქვენი პოზიცია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით...

– რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე ვსაუბრობდი პირველი დღიდანვე პირველ ოქტომბერს გამარჯვებიდან. მიგვანია, რომ ის ციფრები, რომელსაც „ქართული ოცნება“ დათანხმდა, არ შეესაბამება რეალობას. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო გაცილებით მეტი ხმა, ვიდრე მას ადგილი აქვს პარლამენტში. დღევანდელი პარლამენტი ნამდვილად არ ასახავს საქართველოში არსებულ რეალობას. არც ოქტომბერს და არც დღეს ხალხის 40 პროცენტი მხარს არ უჭერს ნაციონალურ მოძრაობას. თავიდანვე დიდი შეცდომა იყო, როცა ამაზე თვალს დახუჭა „ქართულმა ოცნებამ“. ამ დღიდან დაწყებული „ნაციონალური მოძრაობის“ გარეცხვა და გათეთრება. ამას კომპეტენციის ნაკლებობის გამო ვერ მიხვდა „ქართული ოცნება“, ხოლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კარგად გამოიყენა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ვხედავთ, პარლამენტში სუსტი გუნდია წარმოდგენილი, „ნაციონალური მოძრაობა“ პრაქტიკულად ყველა დებატს იგებს, დემარკოვით არის დაკავებული. საკანონმდებლო ორგანოში იმის ნაცვლად, რომ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ისაუბრონ, ხშირ შემთხვევაში უხერხულ კანონებსაც კი იღებენ.



# „მიმაჩნია, რომ ბარჯანაძე პერიოდის იდეალური პრეზიდენტი ვიყავი“

გვსაუბრებით პრეზიდენტობის კანდიდატს, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს

– ანუ გამოდის, რომ არც „ქართულ ოცნებას“ ექნება გარანტირებული ოქტომბერს მიღებული ადგილები?

– რა თქმა უნდა, გარწმუნებთ, რომ „ქართული ოცნებას“ ვერ მიიღებს ხმათა იმ რაოდენობას. იმიტომ არის, რომ „ქართული ოცნების“ ბევრ წარმომადგენელს კატეგორიულად არ უნდა ვადაშედეგ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი. მათ ძალიან კარგად იციან, რომ დიდი ალბათობით, შესაძლოა, ზოგიერთი პოლიტიკური ძალის და სუბიექტების საერთოდ ვერ მოხვდნენ პარლამენტში, ისინი ხალხმა აირჩია მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის სათავეში და მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევნები პოლარიზებული იყო – როგორმე უნდა გავერთიანებულიყავით სააკაშვილის წინააღმდეგ.

– ქ-ნო ნინო, „ქართული ოცნებიდან“ თქვენს მიმართ კრიტიკის წინააღმდეგ ნამდვილად, თითქმის თქვენ პოპულისტურ განცხადებებს აკეთებთ, რომ არსებობს შანსი, ნაციონალები კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, რომ ეს ერთგვარი წინასაარჩევნო ხრიკიაო...

– იცით რა, ყველა პროგნოზი, რაც მე გავაკეთე ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, გამართლდა, მე ვლავარაკობდი, რომ ვერ მოვიშორებთ თავიდან „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ ჩატარებული არჩევნებით და კომპიტიაციით-მითქვი. აი, არჩევნებიდან 10 თვის თავზე გარეცხილია ეს პარტია და მეტიც, ბედავს პრაიმერიზის ჩატარებას, მორალის ნაკითხვას. ვინ ლაპარაკობს საერთოდ? ადამიანები, რომლებმაც შექმნეს დამნაშავე და მახინჯი სისტემა? ადამიანები, რომლებიც ადამიანებს ანაბეზდნენ და აუპატიურებდნენ ცოლების და შვილების თვალწინ? თუმცა, დარწმუნებული ვარ, „ნაციონალური მოძრაობის“ აბსოლუტურად უმრავლესობამ არაფერი იცოდა ამ უბედურების შესახებ...

– თქვენც ხომ იყავით მაშინ ხელისუფლებაში, არც თქვენ იცოდით?

– მოიცათ რა, მე რომ ვიყავი და რაღაცები რომ არ მომეწონა, იმტომაც წამოვედი. რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი ვიციოდი და არც შეიძლებოდა მცოდნოდა. მაგრამ რაც ვიციოდი, ისიც საკმარისი აღმოჩნდა, გადამწყვეტილება მიმელო წამოსვლის შესახებ. სანამ მე ვიყავი, ამდენი და ასეთი საშინელებები არ ხდებოდა. დღეს გაიგე ამის შესახებ და მაინც ნაციონალურ მოძრაობაში ხარ, მაინც ამართლებ და ცდილობს სახეცვლილი „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ არენაზე დაამკვიდრო – უკვე ხდები მათი თანამონაწილი! ადამიანის ცხოვრებაში დგება არჩევანის დრო. „ნაციონალური მოძრაობაში“ არ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ საშინელების ხილვის შემდეგ გამოვიდოდნენ და იტყოდნენ, ჩვენ აღარა ვართ ამ გუნდის წევრები. არცერთს ამის ვაუწყებია არ ეყო.

– რატომ, თითქმის მთელი პერიოდები ახალი ბევრი იყო?

– მე ვიგულისხმებ პარლამენტი. ვინც ეს გააკეთა საკრებულოებში, მათ განცხადებებს მივესალმები.

– ქალბატონო ნინო, თქვენს შესახებ ასეთი აზრიც მოვისმინე: კარგად ვნახეთ ბურჯანაძე როგორი პრეზიდენტი იყო.

– ვინმეს თუ ეგონა, რომ 45 დღის განმავლობაში პრეზიდენტი რამეს შეცვლიდა, ასეთი ადამიანების ადეკვატურობაზე მე ვერ ვლაპარაკებ, ღმერთობის პრეტენზია ნამდვილად არა მაქვს. 45 დღეში კი არა, ერთ დღეში შეიძლება ქვეყანა დაანგრიო, რისი შესაძლებლობაც აშკარად იყო ჩემი პრეზიდენტობის ორივე შემთხვევაში იმიტომ, რომ ქვეყანა იყო უკიდურესად კრიზისულ მდგომარეობაში და იდეა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე. სწორედ ამ 45 დღეში მოვხერხე გადასულიყავით სამოქალაქო თანხმობის რეჟიმზე, და ავაცილე ქვეყანას დაპირისპირების საფრთხე. ნამდვილად მიმაჩნია, რომ გარდაამავალი პერიოდის იდეალური პრეზიდენტი ვიყავი.

– იმასაც ამბობენ, რომ 2006-07 წლებში მართლმსაჯულებას პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ხმა არ ამოგიღიათ.

– ყოველთვის ვამბობდი იმას, რომ პრობლემები გქონდა მართლმსაჯულებასთან, კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით, მაგრამ შემიძლია ისიც ვთხრა, რომ იმ პერიოდში გაცილებით შერბილებული იყო ის რეალობა, ვიდრე 2008 წლის შემდეგ. შეადარეთ სტატისტიკა, რეალური ფაქტები და დანახავთ, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ აიშვა, ყველაწიერი საზღვრიდან გავიდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა ჩართო ომში. სანამ ხელი-სუფლებაში ვიყავი, სირთულეების მიუხედავად, ომამდე ქვეყანა არ მისულა. ეს საკმარისი არგუმენტია, დანახათ ჩემი დამსახურება. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რატომ არის პრეტენზიები ბურჯანაძის მისამართით? მე არ ვამბობდი, რომ პარლამენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი? მაშინ საქართველოს მოსახლეობა სააკაშვილს ტელევიზორში კოცნიდა, ხოლო ჩემს განცხადებებზე ღიზიანდებოდა. ბურჯანაძეს პარლამენტი კი არა, საკუთარი ძალაუფლება უფრო ალევებსო. სხვათა შორის, თქვენს კოლეგებსაც ამაში დიდი წვლილი მიუძღვით. კაცი შეიღმა მხარი არ დამიჭირა, როცა ვამბობდი პარლამენტი არ შეიძლება დაკომპლექტდეს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებით, იმ ადამიანებით, რომლებმაც ლამის წერა-კითხვა არ იციან და ბრმად აჭერდნენ პულტს ხელს-მეთქი. როდესაც ვლაპარაკობდი, რომ ჩემი რეკომენდაციით უნდა შესულიყო რამდენიმე ადამიანი, ნახევარი საქართველო იმეორებდა ბრმად, რასაც სააკაშვილის დამქაშები ლაპარაკობდნენ ტელევიზორში: ბურჯანაძემ თავისი ოჯახის ახლოობები და მე-კორბები უნდა შეიყვანოს პარლამენტში. დამსახელონ ერთი, რომელი იყო ჩემი მეგობარი ან რომელი იყო არაკომპეტენტური. დამსახელები ერთი პოლიტიკოსი მაინც, რომელიც უარს იტყვოდა გარანტირებულ პარლამენტის თავმჯდომარეობაზე. ალბათ, ამაზე ეჭვი არ გეპარებოთ. დავტოვე, რადგან მიმაჩნდა, რომ მორჩილი უმრავლესობა ბრმად მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების კარნახით გააკეთებდა ყველაფერს. ასევე ყოველთვის ყველაფერს ვაკეთებდი ოპოზიციის სასარგებლოდ...

– ქალბატონო ნინო, საკმარისად ვისაუბრეთ წარსულზე, საინტერესოა თქვენს პროგრამა, რატომ უნდა დაიჭიროთ მხარი?

– უპირველესად დაბალანსებული ხელისუფლების მისაღწევად. ჩვენს ქვეყანას ისეთი პრობლემები და გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომელიც კომპეტენტური პრეზიდენტის პირობებში შეიძლება სასიკეთოდ იქნეს გამოყენებული, სუსტი პრეზიდენტის შემთხვევაში კი – ძალიან ცუდად შემოებრუნდეს ქვეყანას. მე მაქვს ის რესურსი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რომ მოვავაგო უმნიშვნელოვანესი პრობლემები, ამის გარდა, ჩვენ გვაქვს ძალიან სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს კორექტირება მთავრობის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური პროგრამის, როგორ უნდა დაიბრუნოს სახელი ქვეყანამ საერთაშორისო არენაზე. მე საერთოდ ვერ ვხედავ ახალი ხელისუფლების პირობებში ვერც გამოკვეთილ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს და ვერც ვაკეთებულ საქმეს სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. ამის გარეშე კი წელში ვერ გაიმათება და ეკონომიკა, იმიტომ, რომ ის მონოპოლიზებული აქვთ „ნაციონალური მოძრაობის“, ახლა უკვე ცალკეულ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს... ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი ქვეყნის წინაშე უნდა კალაპოტში გადასაყვანად. ამას ჭირდება კომპეტენცია და გამბედაობა, თუმცა, ვერც ერთს და ვერც მეორეს „ქართულ ოცნებაში“ ვერ ვხედავ.

– გაქვთ ინფორმაცია, როგორ შეხვდნენ უცხოეთში თქვენი კანდიდატურის წამოგვინებას?

– ძალიან ბევრი ადამიანი გულ შემმატიკვრობს მსოფლიოს ყველა კუთხეში, თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც არ მოსწონთ და ხელს არ აძლევთ ბურჯანაძის გაპრეზიდენტება. მიზეზი მარტივია, მათ კარგად ესმით, რომ ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში დაიძვრება საქართველოსთვის სასიცოცხლო ბევრი საკითხი: ეროვნული კონფლიქტების დარეგულირება, რუსეთთან ურთიერთობა და ა. შ. მე მაქვს პირდაპირი კავშირები ბევრი სახელმწიფოს პირველ-მეორე-მესამე პირებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. სწორედ მათგან მაქვს ინფორმაციები. ჩემი რესურსებისა და კონტაქტების გამოყენება ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

– ძალიან საინტერესოა ფინანსები, ამბობენ, რომ ბურჯანაძე ფინანსდება რუსული ფულით. ჩვენც კარგად ვხედავთ, რომ არჩევნებს იგებს ფული...

– არჩევნებისთვის ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ არჩევნებს მართა ფული არ იგებს. მოსახლეობა ბევრჯერ განხილდა ამის გამო. არა მგონია, კვლავ მოტყუებული აღმოჩნდეს. რაც შეეხება ჩემს „რუსულ ფულს“, ყველა კარგად ხედავდა, რომ ის სააკაშვილის პიარის ნაწილია და ამაზე სერიოზულად არ ვილაპარაკებ. ამ ცილისწამების გამოც მოუწევს სააკაშვილს სტრასბურგში პასუხის გაცემა.

ჩემი პარტია ყოველთვის მუშაობდა მინიმალური რესურსებით, აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უნდაგროვო გვიჭერდა, რაც კარგად გამოჩნდა კიდევ 26 მაისს. გვყავს უამრავი აქტივისტი, რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მოტივირებულად მუშაობს. სამწუხაროდ, ახალმა მთავრობამ არაფერი გააკეთა საარჩევნო გარემოს შესაცვლელად, მათ შორის, დაფინანსების თვალსაზრისითაც, უდავოდ მიმე მდგომარეობაში ვართ. „ნაციონალური მოძრაობას“ აქვს მილიარდები, „ქართულ ოცნებას“ აქვს მილიარდები, ჩვენ მილიონებიც კი არა გვაქვს. თუმცა, იმის რესურსი გვექნება, რაც მინიმალურად უჭირდება საარჩევნო კამპანიას, როგორც კი დავრეგისტრირდებით, შევექმნით საარჩევნო ფონდსაც.

– გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის.

ესაუბრა თაა მოსია

ლათინური ტერმინი INQUILITIO (ინკვიზიცია — ძებნა, გამოძიება) ჯერ კიდევ XI საუკუნიდანაა ცნობილი — საგანგებო საეკლესიო სასამართლო რომის კათოლიკურ ეკლესიაში, რომლის წმიდათაწმიდა მოვალეობა განსჯა „მწვალებელთა“ გამოვლინება და დასჯა.

ისტორიის გაკვირვებები

სასჯელის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო ეკლესიიდან განკვეთა, მკაცრი მარხვა, გვემა, დროებითი და სამუდამო პატიმრობა, სიკვდილი (კოცონზე ცოცხლად დანვა — აუტოდანე) ქონების ჩამორთმევა და მისი საჯაროდ გაყიდვა სანდო პირებზე და სიმბოლურ ფასად!

ინკვიზიციური სასამართლო თვითონ ასრულებდა გამოძიების, ბრალდების, დაცვისა და უშუალოდ სასამართლოს ფუნქციებს.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ექვმიტანილთაგან აღიარებითი ჩვენებების მისაღებად ოფიციალურად შემოიღეს წამება.

ისტორიაში უდიდესი ინკვიზიტორის სახელით დღემდე სარგებლობს დომინიკანელი ბერი პადრე თომას ტორკვემადა: თავისი 18-წლიანი სამოსამართლო „მოღვაწეობის“ განმავლობაში მან 150 ათასამდე განაჩენის გამოტანა მოახსრო, მათ შორის, კოცონზე ცოცხლად დანვა 10 000-ზე მეტ ადამიანს მიუსაჯა!

ინკვიზიციურმა სასამართლომ მეცხრამეტე საუკუნემდე იარსება და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეინარა. მართალია, კათოლიკური ეკლესია დღემდე ინანიებს გადაცდომას და ბოდიშობს მომხდარის გამო, მაგრამ ეს კოცონზე ცოცხლად დამწვარი და ნანაშენი ადამიანებისათვის დიდი ვერაფერი ნუგეზია.

ერთმნიშვნელოვანი პასუხი ინკვიზიციის წარმოშობის, მისი აუცილებლობის შესახებ დღემდე არ არსებობს. უფრო ზუსტად, არსებობს ბევრი განმარტება და ყველა მათგანი ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. ერთ-ერთი განმარტება ასე უღერს: ჯვაროსნულ ომებში დამარცხებულ ევროპას ინკვიზიცია სჭირდებოდა საზოგადოებაზე (მრევლზე) სრული კონტროლის დასამყარებლად, მორჩილი უმრავლესობის შესაქმნელად. დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც, ეს მცდელობა რევოლუციებით და ევროპის ქვეყნებში ახალი, დემოკრატიული წესრიგის დამყარებით დამთავრდა. აი, იმ წესრიგით, რომლისკენაც დღეს ინკვიზიციის ახლად უდელგადაგებული საქართველო ილტვის.

გეოგრაფიკული ინკვიზიცია

2003 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცა დემოკრატიული იდეების მლადდებელი ამბიციური ახალგაზრდების გუნდი ამერიკაში განსწავლული იურისტის მიხეილ სააკაშვილის ბელადობით.

ხელისუფლება მაშინვე სამართლებრივი რეფორმის გატარებას, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ქვეყანაში სააკაშვილის დიქტატურისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, დამყარება, რა თქმა უნდა, დემოკრატიული ლოზუნგებით, ხმაურიანი აქციებით და დროშების ფრიალით ახლადგახსნილი უგემოვნო შადრევნების ფონზე. ისეთი დიქტატურისა, რომელიც 600 წლის განმავლობაში მაინც იარსებებდა.

„არავითარი დანდობა, არავითარი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ — ასეთი იყო ბელადის მონოდედა. ამის განსახორციელებლად აუცილებელი იყო საკუთარი ინკვიზიციური სასამართლოს შექმნა. ცხადია, არსებული კადრები არ გამოდგებოდა. არ ვამტკიცებ, რომ 1979 წელს ათი წლის ვადით დანიშნული მოსამართლეთა კორპუსი მთლიანად უმნიშვნელო რეპუტაციის მქონე პერსონების იყო და კომპლექტებული, მაგრამ მისი უდიდესი უმრავლესობა არ ყოფილა და ვერც გარდაიქმნებოდა ინკვიზიტორად.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლისთვის სასამართლო სისტემის რეფორმა პრაქტიკულად დამთავრებულია. შესაბამისად, 2004 წლიდან დაიწყო ანტირეფორმა, მთელი სამართლებრივი სისტემის — გამოძიების, დაცვის, ბრალდების, განსჯის (მსჯავრის გამოტანის) — ერთ ხელში მოქცევა, ანუ ზუსტად ის, რაც გაკეთდა მეცამეტე საუკუნის ევროპაში.

ინკვიზიციური სასამართლოს როლი სააკაშვილის ხელისუფლებაში დაეკისრა პროკურატურას, რომელიც თავის მხრივ იუსტიციის სამინისტროს, პირადად მთავარ ინკვიზიტორს ზურაბ ადეიშვილს დაექვემდებარა. სასამართლო არარაობად, დიდი ინკვიზიტორის ყურმოჭრილი მონად იქცა. როცა პრემიერი ივანიშვილი ამბობს, რომ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე კოტე კუბლაშვილი არის სისტემის მსხვერპლი, სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობს.

აფთიაქიდან წამლის მოპარვის მცდელობისთვის 12 წლის ბიჭის, არარსებული მკვლელობისთვის კახელი გლეხების, სამშობლოს დღატიის ბრალდებით ფოტოგრაფებისა და, საერთოდ, ცხრა წლის განმავლობაში 300 000-მდე ადამიანის, საქართველოს ყოველი მეათე სრულწლოვანი მოქალაქის გასამართლების სააკაშვილის ახირებისთვის გადაბრუნება დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა: ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი რამ ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა

და საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი პანიკური შიშის დანერგვის უდიდეს მიზანს ემსახურებოდა.

პაპი ინოკენტი III-ისა და XIII საუკუნის ფოდალური ევროპისგან განსხვავებით, სააკაშვილის ხელს უშლიდა თანამედროვე დემოკრატიული ევროპისა და „სტრატეგიული პარტნიორის“ აშშ-ის არსებობა — იძულებული იყო ინკვიზიციური პროცესისთვის დემოკრატიის ნიღაბი მოერგო. მისდა სასახელოდ, მან ეს მოახერხა. მართალია, „სულ რაღაც“ რვა წლით, მაგრამ მაინც.

მოსამართლეთა წინააღმდეგ ბრძოლა სააკაშვილმა ხელისუფლებაში მისვლამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლის წინააღმდეგ ხალხმრავალი აქციების მოწყობა და მათი ფიცილებების საჯარო დანვა (სიმბოლური აუტოდანე) იყო გენერალური რეპეტიცია, რასაც მალე მოსამართლეთა მასობრივი დათხოვნა მოჰყვა. სასამართლო სისტემას შერჩენ ავადსახსენებელი გიორგი ჩემიას ტიპის მოსამართლეები, რომლებმაც პროფესიულ ეთიკაზე, ზოგადად, ადამიანობაზე ხელის ალების

ინკვიზიცია



და ინკვიზიციის სამსახურში ჩადგომის მზადყოფნა გამოთქვს. პირადად მისაუბრია უზენაესი სასამართლოს ერთ „პატიოსან“ მოსამართლესთან, რომელიც თანამდებობიდან ხელფასის შენარჩუნების პირობით გადადგა.

მეთოდები მრავალფეროვანი იყო: დაპირება, დაშინება, შანტაჟი, მოსყიდვა, იძულება...

საკაშვილის ხელისუფლების მრავალთაგან ერთ-ერთი მსხვერპლია აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავჯდომარე მიტროფანე (მიტო) სტურუა.

როგორ მივიშორეთ მოსამართლეს

მოსამართლეს სტურუას მაგალითს იმიტომ ვიშველიებ, რომ აქ არაფერია განსაკუთრებული: უბრალოდ, შეგვიძლია შევცვალოთ გვარი, თვითონ ისტორია კი ყველა მოქმედ გმირს მიესადაგება. ანუ თუ ახალი ხელისუფლება შექმნის სტურუას დილემის ამოსწას, ამით თითქმის ყველა უსამართლოდ დათხოვნილი მოსამართლის პრობლემას გადაჭრის.

ისტორია კი, მეტი რომ არ იქნება, ისეთი ბანალურია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2004 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების გამო აღძრა დისციპლინური დევნი მუხამად აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე სტურუას მიმართ. როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება გვამცნობს, 2003 წლის 22 ოქტომბერს აბაშის რაიონულ სასამართლოში პირველი ინსტანციის წესით განსახილველად შევიდა ნიაზ მესხისა და ლომი ქოიავას სისხლის სამართლის საქმე. 29 ოქტომბერს მოსამართლე მიტროფანე სტურუამ გამოიტანა განჩინება თვითაცილებისა და საქმის სხვა სასამართლოზე დაქვემდებარების თაობაზე (რადგან მანამდე მასვე გამოტანილი ჰქონდა განჩინება ექვმიტანილებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ). ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმე შევიდა 2004 წლის 20 აპრილს, ანუ საქმე აბაშის სასამართლოში უმოძრაოდ იდო თითქმის მთელი ექვსი თვის განმავლობაში.

განსასჯელებს, პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებზე ასე მზრუნველმა (ამ „ზრუნვის“ მხახველს თვით პადრე თომას ტორკვემადასაც კი თმები ყალყზე დაუდგებოდა!) ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მოსამართლე მიტროფანე სტურუამ საქმე გააჭიანურა და სასჯელად ამ გადაცდომისთვის გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელი გამოუტანა — მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.

მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „სადისციპლინო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლის მიერ ამგვარი გულგრილი დაბოიკიდებულება საქმისადმი, პირებისადმი, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ, საჭიროებს უმეცრეს შეფასებას“. ეს სიტყვები მეზობლის ღობის დაწვის ბრალდებით ოპერატიულად გასამართლებულ და სამ წელიწადმისჯილ 80 წლის ბებო იქნებ სიცრუისა და ფარისევლობის მაგალითად მოეჩვენოს, მაგრამ დაგენიძლავებით, ნებისმიერ ორთოდოქს ნაციონალს თვალზე ცრემლს მოადენს.

ამავე დროს, სადისციპლინო კოლეგიამ 2004 წლის 23 დეკემბერს საქმე განიხილა მიტროფანე სტურუას სავალდებულო მონაწილეობის წესის დარღვევით, რითაც უზენადაა დარღვივა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მხარეთა თანასწორობის პრინციპი;

კოლეგიამ არ გაითვალისწინა სტურუას განმარტება, რომ საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოში დაგვიანებით გადაიგზავნა არა მოსამართლის გულგრილობისა და უყურადღებობის, არამედ თვით განსასჯელთა და მათი ახლობლების დაჟინებული თხოვნის გამო;

სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა საბჭოს 4 წევრი (მათ შორის, პადრე ზურაბ ადეიშვილის მიერ ინკვიზიტორობამისჯილი გიორგი ჩემია!), რომლებსაც ადრე ამავე საქმეზე უკვე ჰქონდათ მიღებული გადაწყვეტილება, რაც კანტეგორიულად აკრძალულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (მუხლი VI);

სადისციპლინო საბჭომ არ გაითვალისწინა, რომ 2003 წლის პირველი იანვრიდან აბაშის რაიონულ სასამართლოში იყო ერთადერთი მოსამართლე — სასამართლოს თავჯდომარე მიტროფანე სტურუა, სამოქალაქო საქმეთა სპეციალისტი. იგი იძულებული იყო ყველა სისხლის სამართლის საქმე აეცილებინა, რაც პროკურატურის, დაცვის, განსასჯელების, დაზარალებულებისა და მონაწილის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. სტურუა უზენაესი სასამართლოდან, იუსტიციის საბჭოდან თვეების განმავლობაში ამაოდ ითხოვდა მოსამართლის დანიშვნას ან დროებით მიმაგრებას;

საერთოდ, საქმეზე არ არსებობს მომჩივანი, შესაბამისად, არ არსებობს დაზარალებული. მოსამართლე სტურუა არ განიხილავდა მესხი-ქოიავას საქმეს და შესაბამისად, რომ მოენდომებინა კიდევ, ვერც ვადადებს დაარღვევდა და ვერც დისციპლინურ გადაცდომას ჩაიდენდა...

როგორ ავსაღვიწოთ სამართლიანობა?

— გათანხმებით, რთული კითხვაა. შედარებით იოლი აღმოჩნდა ცინებიდან ათასობით ადამიანის გამოშვება, მაგრამ ძალიან რთული აღმოჩნდა ასევე ათასობით უსამართლოდ სამსახურიდან გამოყრილი, ქონებანართმეული, ნაწამები, ღირსებააყრილი ადამიანისთვის ქონების დაბრუნება, კომპენსაციის გადახდა, სამსახურებში აღდგენა, სულიერი ტკივილის დაამება... მიტო სტურუა ენათი მათგანია — სააკაშვილის რეჟიმს შენარული უდანაშაულო მოსამართლე. ისიც იბრძვის. აქაც და საერთაშორისო სტრუქტურებშიც. იგი ერთ-ერთია, ვისთანაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კომუნიკაცია დაამყარა და იმედი, უახლოეს მომავალში საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას მასთან მორიგებას დაავალებს. თუმცა, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟისთვის უკეთესი იქნება, თუ ამას გააკეთებს საქართველოს ხელისუფლება სტრასბურგის ჩაურევლად. მით უფრო, საქართველოს მოსახლეობას ამის პირობა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანამ უკვე მისცა.

უკვე მესმის პასუხი — საქართველოს სასამართლო ხელისუფლება ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის ხელშია და იგი პოზიციებს არ დათმობს. ცოტაცა, ცოტაცა და ნანატრი ოქტომბერიც მოვა, „კარგი“ პრეზიდენტი გვეყოლება და სასამართლო ხელისუფლებაში ახალი, ევროპული სტანდარტების შესაფერი წესრიგი დამყარდება...

ალბათ ამის გამოძახილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსის ლევან მესხორაძის პასუხი მიტროფანე სტურუას: „იუსტიციის სამინისტროს წერილით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ითხოვა თქვენი საქმის განილვის დაწყება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, რათა მხარეებს მოგვეცეს შესაძლებლობა, ვანარმოთ მორიგებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები“.

იმედია, ბატონი მესხორაძე ამ, ცოტა არ იყოს, ორჭოფულ პასუხში გულისხმობს პირადად სტურუას საქმეს და არა სტურუას, როგორც ადვოკატის მიერ სტრასბურგში გაგზავნილ ენ. „ციხის ბუნტისა“ და სხვა საქმეებს...

უმორჩილესად გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადახედეთ ამ წერილის დასაწყისს — ისტორიის დავიწყებას სიკეთე არასოდეს მოუტანია.

თეიმურაზ ძორიძე

# გლოზუსი

## 4 აბზისტიუს გაიმართება ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაცია.

ირანის პრეზიდენტის არჩევნები კი ა.წ. 14 ივნისს შედგა და მასში, პირველივე ტურში, წარმატებას მიაღწია ჰასან რუჰანის ირანელთა არჩევანი სრულიად მოულოდნელი გამოდგა არა მარტო ირანისთვის, არამედ იმ ექსპერტებისთვისაც, ვინც გამაძიდებელი შუშით აკვირდება ირანში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

რამ განაპირობა ზომიერი კონსერვატორისა და სასულიერო პირის, რუჰანის გამარჯვება? ეს კითხვა არც ძნელი ამოსახსნელია და არც მარტივი, ვინაიდან რუჰანის მიერ მოპოვებულ გამარჯვებაში ურთიერთსაინააღმდეგო ფაქტორები სახელდება. მათ შორის გამოირჩევა ქვეყნის გაუარესებული ეკონომიკური პირობები, ომის დანებების პერმანენტული საშიშროება, ირანელთა სურვილი ლიბერალურ ვითარებაში ცხოვრებისა, დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობის ქონისა და სხვა.

როგორც ჩანს, აშშ-ის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოში ინიცირებულმა 4-მა ეკონომიკურმა სანქციამ, ამასთანავე თვით აშშ-ის მიერ, ირანის წინააღმდეგ დამატებით შემოღებულმა სანქციებმა და ამერიკელთა დაჟინებულმა წნეხმა მოკავშირეებზე – ანალოგიური სანქციების დაწესების თაობაზე, ნაწილობრივ მიაღწია მიზანს, ანუ გააუარესა ირანელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სხვაგვარი აზროვნების განვითარება.

ირანის მოსახლეობის 73% მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. მათგან უდიდესმა უმრავლესობამ მხარი იმ კანდიდატს დაუჭირა, ვინც რეფორმების მკვეთრი მოთხოვნით გამოვიდა. ასეთი იყო ჰასან რუჰანი, რომელიც მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას, დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას.

დასავლეთში დიდ იმედებს ამყარებენ ახლადარჩეულ პრეზიდენტზე. ფიქრობენ, რომ ის ისეთივე რეფორმატორი იქნება ან უკეთესი, ვიდრე 1997-2005 წლებში, ირანის პრეზიდენტად მყოფი, მოჰამედ ჰათამი. იმჰამად ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ე.წ. ექსპლუზივით (გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი და გერმანია) მოლაპარაკებას რუჰანი უძღვევოდა. მაშინ მან შეძლო, დაერწმუნებინა ირანის მეთაური აიათოლა ხომეინი ურანის გამაძიდებლის პროცესის შეჩერებაში დასავლეთთან ნდობის ჩამოყალიბებისთვის. მაგრამ ეს იყო მაშინ.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ის გაცილებით რთულია. უახლოეს პერსპექტივაში ძნელია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების გაუქმება, მიუხედავად ირანის მხრიდან სერიოზული დათმობებისა. პრეზიდენტი რუჰანიც არ არის ცალმხრივად დამთმობი, ვინაიდან ამას ხალხი ვერ გაიგებს. რაზე შეიძლება ნავიდას ირანი? უპირველეს ყოვლისა, ურანის გამაძიდებლის პროცესის 20%-მდე შეჩერებაზე და აქედან გამომდინარე პროცედურებზე.

ახალი პრეზიდენტი სასულიერო პირია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ მას მხარს უჭერდა ირანის სულიერი ლიდერი და მმართველი აიათოლა ხომეინი. არჩევნებში 6 კანდიდატი მონაწილეობდა, მათ შორის სასულიერო პირებიც, მაგრამ აიათოლა ხომეინიმ არჩევნებამდე განაცხადა, რომ ის არ ჩაერევა საარჩევნო პროცესში.

ის რომ, არჩევნებში მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა, ნათავსყოფს ქვეყნის ისლამური მმართველობისთვის მხარის დაჭერას, საარჩევნო პროცედურის დემოკრატიულობას.

ჰასან რუჰანის პიროვნება მთლად უცნობი არ არის ირანელთათვის, მაგრამ მის მეტოქეებთან შედარებით, განსაკუთრებით თეირანის მერთან, ნაკლებად ცნობილი. ყველაფერი გადანყდა საარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც რუჰანმა წარუდგინა ხალხს ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების, საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესების პროგრამა - შიდა წარმოების გაფართოება, უმუშევრობის შემცირება, რეალის განმტკიცება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, პო-

ლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია.

ვინ არის ჰასან რუჰანი? ეს პიროვნება 1948 წელს დაიბადა, უაღრესად რელიგიურ ოჯახში. 13 წლის ასაკში ის გააგზავნეს ყუმის რელიგიურ სასწავლებელში - მედრესეში.

წმინდა ქალაქი ყუმი ცნობილია რელიგიური სასწავლებლებითა და უნივერსიტეტებით. მილიონნახევრიან ქალაქში ირანისა და მსოფლიოს საუკეთესო თეოლოგები ასწავლიან. გასული საუკუნის 60-იან წლებში ყუმიში ჩაისახა ირანის შაჰის სანწინააღმდეგო მოძრაობა. ამ ქალაქში მოღვაწეობდა თანამედროვე ირანის დამაარსებელი აიათოლა ხომეინი. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო შა-

ხაშემი რაფსანჯანი, მოჰამად ჰათამი, სხვები. მას კარგი ურთიერთობები აქვს რელიგიურ პირებთან, რითაც მკვეთრად განსხვავდება წინამორბედ აჰმადინეჟადისგან.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოსვლის დროს რუჰანმა განაცხადა შემდეგი: „ჩვენ გვინდა ძლიერი საზოგადოება. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ხალხთან. ჩვენ უნდა გვესმოდეს მისი ნათქვამი. ჩვენ უნდა შევასუსტოთ მთავრობის ტოტალური მმართველობა. თუ ჩვენ ძლიერი, კვალიფიციური მთავრობა გვყავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ყველაფერი აკონტროლოს“.

რუჰანი გამოვიდა გენდერული სეგრეგაციის წინააღმდეგ უნივერსიტეტებში

# რას ელის ირანის ხალხი რუჰანისგან?



ჰის მოდერნიზაციის სანწინააღმდეგო გამოსვლა. რუჰანი შეუერთდა ანტიშაჰურ მოძრაობას და 60-იანი წლების ბოლოდან გახდა ისლამური მოძრაობის აქტივისტი.

გარდა სასულიერო სასწავლებლისა, რუჰანის დამთავრებული აქვს თეირანის უნივერსიტეტის იურიდიული კურსები. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ის იღრმავებდა საერო და ისლამის სამართლის ცოდნას ქ.გლაზგოში, სადაც მიენიჭა დოქტორის ხარისხი.

რუჰანის მოპოვებული აქვს იჯტიხადის უფლება, ანუ შესაძლებლობა ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება ღვთისმსახურებასა და სამართალში. მისი რელიგიური ტიტული ასეთია - ხოჯად-ოლ-ისლამ-ოლ-მუსლემინი. ის შედის ირანის უმაღლეს შიიტ ღვთისმსახურთა წრეში.

რევოლუციის პირველ წლებში რუჰანი მუშაობდა ისლამური ირანის სამხედრო მშენებლობის საკითხებზე. არჩეული იყო მეჯლისის (პარლამენტის) წევრად, სადაც 20 წელი იმსახურა. ორჯერ იყო ვიცე-სპიკერი. 1989 წელს - ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შემდეგ, რუჰანი გახდა მისი ხელმძღვანელი. ის 16 წლის განმავლობაში იყო ამ ამპლუაში. 1991 წლიდან რუჰანი - სულიერი ლიდერის ბრძანებულებით, გახდა ირანის უმთავრესი საბჭოს - გადაწყვეტილებათა მიმღებლის წევრი.

ამ ორგანოში განეკუთრებული არიან უმაღლესი ღვთისმსახურები. მათ აქვთ უფლება აკონტროლონ ქვეყნის მეთაური და გადაიჩინონ ის, თუკი ის კონსტიტუციას დაარღვევს, აგრეთვე თუ მას აღარ შეეძლება განახორციელოს ქვეყნის მმართველობა.

რუჰანის მჭიდრო კავშირები აქვს ისეთ რელიგიურ-პოლიტიკურ მოღვაწეებთან, როგორებიცაა ყოფილი პრეზიდენტები

და დანესებულებებში, კულტურის დარგში ცენზურის წინააღმდეგ. „როდესაც სახელმწიფო ტელევიზია აჩვენებს ჩინეთის ზოოპარკში პანდის დაბადებას, მაგრამ არაფერს ამბობს მუშათა პროტესტზე, 6 თვის განმავლობაში ხელფასის მიუღებლობის გამო, ასეთი ტელევიზიის მიმართ ხალხს ნაკლები ინტერესი ექნება“, - განაცხადა მან.

რეფორმატორული სულისკვეთებით გაყდენილი განცხადებები რეალურ საფუძველს იძლევა შემდეგი სახის კითხვისა - რამდენად შეძლებს რეფორმების გატარებას პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის მეორე პირია? მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ქვეყნის მმართველი სულიერი ლიდერის ხამენის შემდეგ მეორე პირია, მას მაინც დიდი უფლება მოსიღება აქვს. გარდა ამისა, წარმატება და მოკიდებულია იმაზეც, რამდენად შეძლებს ის

პირველი პირის დარწმუნებას ამა თუ იმ საკითხში.

ირანის საზოგადოებაში, უხეშად რომ ვთქვათ, ორი ტენდენცია შეინიშნება - კონსერვატორული და რეფორმატორული.

1978 წლის რევოლუციის შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, აიათოლა ხომეინის მმართველობის დროს, თვალშისაცემი იყო მემარცხენე ექსტრემიზმი, რომელიც ახლო იყო სოციალისტურ იდეებთან: ქონების სახელმწიფოს ხელში მოქცევა, ქაგერელთა წინააღმდეგ ბრძოლა, რევოლუციის ექსპორტი და ა.შ. ირან-ერაყის ომის შემდეგ (1980-1988) გააქტიურდა სამღვდელოების მემარჯვენე ფლანგი. მაშინ მათ კონსერვატორები და აშშ-სკენ გადახრილები შერევეს, ანუ კაპიტალიზმის მომხრეები.

ისინი გამოდიოდნენ კერძო საკუთრების დაცვისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის, აგრეთვე დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მოთხოვნით. ამ პოზიციის მატარებელი იყო ხა-

შემი რაფსანჯანი, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს იმამ ხომეინის სიკვდილის შემდეგ.

ალსანიშნავია ისიც, რომ აიათოლა ხომეინის გარდაცვალების შემდეგ მემარცხენე ისლამისტთა პოზიციები მკვეთრად შესუსტდა. 1992-96 წლებში ისინი გარიყეს თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურიდან. შექმნილა ვითარება მემარცხენეები აიძულა, შეეცვალოთ შეხედულებები. უპირველესად მათ მოიშორეს რადიკალიზმი, გაიზიარეს თავისუფალი ბაზრის პრინციპები, პრივატიზაცია, სამოქალაქო თავისუფლება და სხვა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული პოლიტიკურ მიმდინარეობებს ეწოდა - რეფორმატორული (ლიბერალური) და კონსერვატორული (ფუნდამენტალისტური). ირანის ღვთისმსახურთა შორის გაჩნდა „ველიაით ფაკისის“ (ისლამის კანონებით მართვა) საკითხთან განსხვავებული დამოკიდებულება.

ერთნი მთლიანად იზიარებენ კონსტიტუციას სახელმწიფო ცნებას ქვეყნის სულიერ ლიდერთან (რაზბართან) მიმართებაში. მეორენი კი თვლიან, რომ მას მხოლოდ საერთო მიმართულების განსაზღვრის უფლება უნდა ჰქონდეს და უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საზოგადოებრივ-ტურული ცხოვრებით. მესამენი კი დაბეჯითებით მხარს უჭერენ რაზბარის ძალაუფლების კიდევ უფრო გაზრდას.

ლიბერალებისა და კონსერვატორების მორიგეობითი დომინირება სახელმწიფო სტრუქტურებში ისლამური მმართველობის გარკვეულ ბალანსს ჰქმნის.

ღვთისმსახურთა როლი არჩევნების დროს მნიშვნელოვანია. ისინი ასახელებენ კანდიდატებს და მხარს უჭერენ მათ საარჩევნო კამპანიის დროს. კანდიდატები, როგორც წესი, მიდიან ქ.ყუმიში, სადაც ხვდებიან შიიზმის ავტორიტეტებს. წინასაარჩევნო შეკრება იმართება მეჩეთებში, იქვე იხსნება საარჩევნო უბნები. ორივე რელიგიური მიმდინარეობა ასახელებს თავის კანდიდატს.

მაგალითად, 2009 წელს - აჰმადინეჟადი, როგორც უპირატესი წარმომადგენელი, დაუპირისპირდა რაფსანჯანის - საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენელს და გაიმარჯვა ამ პაექრობაში. პრეზიდენტად გახდომის შემდეგ მან გადამწყვიტა ხელისუფლებიდან ჩამოშორებინა რევოლუციის თაობა, შეემცირებინა სასულიერო პირთა რაოდენობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

აჰმადინეჟადი შეეცადა პრეზიდენტის უფლებების გაზრდას და მასზე მეჯლისის კონსტრუქციის შემცირებას, რაც შემთხვევაში რაზბარის გავლენის შესუსტებას. ყოველივე ამან დაძაბა ურთიერთობა სულიერ ლიდერსა და პრეზიდენტს შორის, რის თაობაზეც არაერთხელ დაინერა პრესაში.

კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს უფლება აქვს ორჯერ შეეცადოს იყაროს კენჭი. აჰმადინეჟადი ორჯერ შეეცადა, მაგრამ პრეზიდენტი. წლებიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება მას არ ჰქონდა. ასეთი შესაძლებლობა მას გაუჩნდება 4-წლიანი საპრეზიდენტო ვადის გავლის შემდეგ.

**ირანის საპრეზიდენტო არჩევნები თვალნათელი მაგალითია იმისა, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით ეს ქვეყანა გაცილებით მაღალ საფეხურზეა, ვიდრე რეგიონის ქვეყნები, სადაც სჭარბობს მონარქიები და დიქტატორული რეჟიმები.**

ისლამური რევოლუციის პირველსავე წლებში გადანყდა, რომ ქვეყანაში ჩატარებულიყო ყველა დონის არჩევნები, რომ ხალხს მიეღო მასში რეალური და არა მოჩვენებითი მონაწილეობა. 34 წელია ირანი ამ გზას მიჰყვება - განუხრევლად და დემოკრატიული პრინციპების დაცვით, რაც კიდევ ერთხელ გამოიწვია 14 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. პრეზიდენტად ხალხმა აირჩია პიროვნება, რომლის გაპრეზიდენტებას არჩევნებამდე არავინ მოელოდა.

ახლადარჩეული პრეზიდენტისგან ირანი რეფორმებს, ლიბერალიზაციას, მოდერნიზაციას ელის, მაგრამ მხოლოდ ისლამური სისტემის ჩარჩოებში.

**პაპილიტ შიანაჰილი, პოლიტოლოგი.**





სოციალური კვლევებით, ექსპერტთა პროგნოზებით, საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით, ყველა თანხმდება, რომ ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ნამდვილად ვერ გახდება. თუმცა, ისიც კარგადაა ცნობილი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ყოფილი მმართველი ძალა ყველანაირად შეეცდება, შექმნას ფონი, რომელიც მის პოლიტიკურ მომავალს უზრუნველყოფს. ერთ-ერთი მეთოდი დასავლეთში საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ ნეგატიური განწყობის შექმნაა, რაც ნაციონალური გათვლებით მათ რეიტინგზე პირდაპირ-როპორციულად აისახება.

ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის მხრიდან ქართული საზოგადოება უკვე შეეჩვია, არაობიექტური ინფორმაციის საფუძველზე ტენდენციური განცხადებების მოსმენას. ბრიუსელში, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნების შეხვედრისას, რომელიც ვილნიუსის სამიტის წინ ძალზე მნიშვნელოვან შეხვედრად შეფასდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მფლობელმა პოლიტიკოსებმა ტრადიცია არ დაარღვევეს. ამჯერად შედეგის საგარეო საქმეთა მინისტ-

რმა კარლ ბილდტმა საქართველოში არსებული „პრობლემური საკითხების“ და „პოლიტიკური რეპრესიების“ გამო მორიგი შეშფოთება გამოთქვა. სხვათა შორის, ბატონი ბილდტი საპარლამენტო არჩევნების წინაშე იმყოფებოდა საქართველოში და არც პოლიტიკური რეპრესიები შეუნიშნავს, არც ოპოზიციის დევნა და ზენოლა.

დაახლოებით ათი დღის წინ კი საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროპარლამენტარებმა მერაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრემიერთან შეხვედრაზე განაცხადეს უარი. როგორც გაირკვა ასეთი შეხვედრა დაგეგმილიც არ ყოფილა, თუმცა საქართველოს შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე დასავლელი პოლიტიკოსები ამ ფაქტსაც საკუთარი შეხედულებების გამომწვევებენ. ყველა ერთად კი, როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებაზე მთავარ დარტყმას, საგარეოდ, ვილნიუსის სამიტზე განახორციელებს.

რა შედეგი შეიძლება მიიღოს ამ ტაქტიკით „ნაციონალური მოძრაობამ“, რას კარგავს „ქართული ოცნება“ და რატომ უნდა უთხრას ქართულმა ხალხმა საპრეზიდენტო არჩევნებზე კოაბიტაციას „არა“, ამ თემებზე ექსპერტი ნანა დემდარბანი გვესაუბრება.

— ძალბატონი ნანა, ცალკეული უცხოელი პოლიტიკოსების მხრიდან პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით განცხადებები არ წყდება, ქართულ საზოგადოებას ეს შეიძლება ალიზიანებს, მაგრამ ქვეყნის შიგნით განწყობებზე ამ ეტაპზე ნაკლებად მოქმედებს. ამას წინათ ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფის სახელით საკმაოდ სკანდალური განცხადებები გაკეთდა, როდესაც, თითქოს, ევროპარლამენტარებმა ივანიშვილთან შეხვედრაზე უარი თქვეს. იგივე სულისკვეთების განცხადებები ისმის სხვა შეხვედრებზეც... როგორ ფიქრობთ, ეს სერიოზულ შედეგზე გათვლილი კამპანიაა? რაიმე ხელშესახებს მიაღწევს ასეთი დახმარებით „ნაციონალურ“?

— ევროკავშირის მისიაზე როდესაც არის ლაპარაკი, ეს საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ დეპუტატები დადიან აქ მონიტორინგის განსახორციელებლად. ესენი „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორები არიან ევროპარლამენტში, რომლებიც ჩამოდიან და აქ დემარშს ახორციელებენ. განა რა აკლია მერაბიშვილს ციხეში, რომ ამის გამო პრემიერთან შეხვედრა გადაედო?

ამის გარდა, როდესაც სერიოზული დელეგაცია ჩამოდის და შეხვედრა უმაღლეს დონეზე იგეგმება, ამის შესახებ საზოგადოება, ჟურნალისტები, წინასწარ არიან ინფორმირებული. როგორც ჩანს, მათ წინასწარ იცოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო, რადგან თუკი აინტერესებდათ რეალურად რა პრობლემა არსებობდა, პირქით, ყველას უნდა შეხვედროდნენ და დასკვნებზე მერე გადაეტებდნენ. როგორც ჩანს, ეს წინასწარ დაგეგმილი სცენარი იყო.

— ვანო მერაბიშვილმა ახლა უკვე თვითონ გააგრძელა განცხადება, რომ ტელეფონზე თავისუფლად ვერ საუბრობს და ოჯახის წევრებს ვერ ხვდება, იგივეს იმეორებენ უცხოელი პოლიტიკოსებიც. საგარეოდ, მერაბიშვილის თემა არჩევნების მოახლოებასთან ერთად ქვეყნის გარეთ კიდევ უფრო აქტუალური გახდება...

— ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისი დემონსტრირებაა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, რომ აი, ევროპა ჩვენ მხარს გვიჭერს. ევროპარლამენტში უამრავი დეპუტატი და უამრავი განსხვავებული აზრია, მაგრამ დეპუტატი, რომელიც თავს უფლებას აძლევს, ჩავიდეს სხვა ქვეყანაში და იქაური სასამართლოს ნაცვლად თვითონ გამოიტანოს დასკვნა, რატომ ზის ესა თუ ის ადამიანი ციხეში, ის ადამიანი დეპუტატი საერთოდ არ უნდა იყოს, მით უმეტეს ევროპარლამენტის.

ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან შიდა მოხმარებაზეა გათვლილი, რათა თავის მომხრეებს დაახანოს, აი, ევროპა მხარს გვიჭერსო. რატომ ჰყავდათ 40 ათასი პატიმარი ციხეში, ამაზე, იგივე იმ ევროპარლამენტარების პასუხიც საინტერესოა.

— ქვეყნის შიგნით მხარდაჭერის გაზრდის იმედი აქვთ ნაციონალურ ასეთი ტაქტიკით?

— ცდილობს, შეინარჩუნონ ის მხარდაჭერები, რომლებიც ჰყავდათ — ფაქტია, რომ რეიტინგის ვარდნა ჰქონდათ და მხარდაჭერებს კარგავენ — ამაზე შეიძლება იყოს გათვლილი. გარდა ამისა, სააკაშვილი აშშ-ში რომ ჩავა, იქაც მოყვება ამ ამბავს. ნათლად ვხედავთ, რომ აშშ-ის და ევროპის პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი მხარს უჭერს სააკაშვილს და ყველანაირად ცდილობს, მის შენარჩუნებას ქართულ პოლიტიკაში. ის მათთვის მოსახერხებელი და სასარგებლო პარტნიორია. თვითონაც ცდილობს სააკაშვილი, რომ დარჩეს პოლიტიკაში თუნდაც ამ მხარდაჭერის ხარჯზე.

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ერთი და იგივე სიტყვებით რომ ლაპარაკობენ ნაციონალები და მათი უცხოელი მხარდაჭერები, ისინი ხომ ნაციონალებისგან იღებენ ინფორმაციას.

თუმცა, სხვა რამ მაინტერესებს, რას აკეთებს ამ დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო? ბოლოს და ბოლოს, მათ ქვეყნებში ნოტა არ უნდა გააგზავნონ, რომ ეს დეპუტატები ქვეყნის საშინაო საქმეებში ერევიან? სუვერენული ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამაზე არაფერი არ უნდა თქვას? თუ მათი საქმიანობა მხოლოდ უცხოეთში ვიზიტებია?

არ ვიცი, ეს რა არის, არაკომპეტენტურობა, თავშეკავებულობა თუ გულარხეინი დამოკიდებულება, მაგრამ ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. მიხდა გითხრა, რომ ევროპაშიც, ისევე როგორც საქართველოში, პოლიტიკოსები ხშირად ცრუობენ.



# „საპრეზიდენტო არჩევნებზე ქართველმა ხალხმა კოაბიტაციას უნდა უთხრას არა“

— თქვენ თვლით, რომ საქართველოს მხრიდან ამ თემის გამწვავება სასურველია?

— ვფიქრობ, რომ აუცილებელიც არის. მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქცია კი არა, საქართველოს პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის ფუნქციაც არის, რომ იგივე ევროპარლამენტში ჩაიტანოს მისართლე. ამ ხალხმა ტყუილის მიტანა მოახერხა და სიმართლე როგორ ვერ უნდა მიიტანო? ვფიქრობ, რასაც ჩვენ ვხედავთ, კოაბიტაციის შედეგებია.

საერთაშორისო სკანდალად შეიძლება იქცეს, როგორ ფინანსდებოდნენ ასეთი ემისიები საქართველოს ბიუჯეტიდან. ეს იცის ძალიან ბევრმა ადამიანმა, ვისაც კი შეხება ჰქონია რაიმე პროცესებთან. ახალი ხელისუფლება ვალდებულია, რომ ეს ინფორმაცია გამოაქვეყნოს და საჯარო გახადოს.

მე არ მაქვს ამისი მტკიცებულებები და ამაზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ კარგად გაარკვიონ, როგორ ფინანსდებოდა მეთუ ბრაიზა. კიდევ მათიას იორში და

სხვა ადამიანები რომ ჩამოდიოდნენ და მათ მხარეს იკავებდნენ. გაარკვიონ ეს ყველაფერი, რადგან საზოგადოებაში გონივრული ეჭვი არსებობს, რომ ამათ 9 წლის განმავლობაში ხელს უწავროდ არავინ აფარებდა.

— რაში აწვობს დღევანდელ ხელისუფლებას რომ ეს ინფორმაცია თუ ხელმისაწვდომია, არ განასაჯაროს?

— როგორც ჩანს, ეუბნებიან, რომ კოაბიტაციაა, ასევე საჭირო და ესენიც ითმენენ, თავიდანვე ვამბობდი, რომ არ შეიძლება დამნაშავეებთან კოაბიტაცია და ეს მახინჯი პრაქტიკაა.

— თუ დასავლელი, თუნდაც ცალკეული პოლიტიკოსების მხრიდან საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად გახშირდება ასეთი განცხადებები, როგორ ფიქრობთ, ეს იმოქმედებს საზოგადოებრივ განწყობაზე?

— ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აისახება საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე. ვფიქრობ, ბაქრძის პრეზიდენტობა გამორიცხვლია, რადგან იმ ეპოქაში დაბრუნება არავის უნდა, მაგრამ მარგველაშვილის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებზე თუნდაც იმიტომ არ შეიძლება, რომ ეს არის კოაბიტაციის გაგრძელება.

— რატომ არის მარგველაშვილის გაპრეზიდენტება კოაბიტაციის გაგრძელება?

— ეს ორი ძალა ერთმანეთშია შერწყმული. ამას წინათ, ურეკში, ივანიშვილის რეზიდენციაში რომ შეხვდნენ ერთმანეთს ბაქრაძე და უსუფაშვილი, ეს რას ნიშნავს, ვინ ამისხსნის? რა რანგით შეხვდნენ პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე უმცირესობის ლიდერს, მოქმედ, ამ წუთას დასახელებულ პრეზიდენტობის კანდიდატს? — ანუ ამით მისი შანსები გაზარდეს. რა საჭირო იყო ასეთი დონის შეხვედრა, საგანგებოდ რომ შეხვედროდა როგორც უმრავლესობის ლიდერი, არ შეიძლებოდა?

ეს კოაბიტაციის გაგრძელებაა და საპრეზიდენტო არჩევნებზე ამას ქართველმა ხალხმა უნდა უთხრას „არა“. როგორც სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ უთხრა „არა“, ისე უნდა უთხრას კოაბიტაციას „არა“. მერე ხელისუფლება კეთილსინებებს და იგებს, რა ხდება პარლამენტისა და პოლიტიკური კულუარების გარეთ.

— კოაბიტაციისთვის უარის თქმა როგორ უნდა გამოიხატოს არჩევნებში, მარგველაშვილის წაგებით?

— ჩემთვის მნიშვნელოვანია, არა ვინ წააგებს, არამედ ის, რომ ქვეყანამ მოიგოს. ბურჯანაძის მოგებით საპრეზიდენტო არჩევნებზე ქვეყანა და ხალხი მოიგებს. ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაც რაღაცას კარგავს, მთავრობა ისევე მათ ხელში რჩება და პარლამენტიც — უმრავლესობით. 40%-იანი „ნაციონალური მოძრაობა“ სრული აბსურდია, მაგრამ ისინი ისევე არიან და ძალიან მომწონს ბურჯანაძე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს რომ ითხოვს, რადგან ასეთი პარლამენტი ქართველი ამომრჩევლის მოთხოვნებს უკვე აღარ პასუხობს. ამ ორ ძალას სჭირდება ვიღაც, ვინც შეანჯღღრევს. როგორც ჩანს, თვითონ დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ, რომ ზომიერება დაიცვან და ნორმალური პოლიტიკა გაატარონ.

ბარიამ თოლაძე

## ალიან-ჩალიანი

### ღვინის გარდა საქონლის სორცის ექსპორტიც იზავება

ალკოჰოლური სასმელებისა და მინერალური წყლების გარდა, რუსეთში უახლოეს პერიოდში დაბალი რისკის შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიც მოხდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან დღევანდელ შეხვედრაზე მინისტრმა შალვა ფიფია განაცხადა და განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით რუსულ მხარესთან შეთანხმება უკვე მიღწეულია.

— დღეის მდგომარეობით, რუსულ ბაზარზე ალკოჰოლური სასმელები და მინერალური წყლები გადის, ასევე მიღწეულია შეთანხმება, რომ დაბალი რისკის შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, როგორცაა ჩირი, დაფნის ფოთოლი, ჩაი, თხილი, მშრალი ხილი გავიდეს ბაზარზე. რაც შეეხება მაღალი რისკის პროდუქტებს, ესაა ხილი და ბოსტნეული. დაახლოებით 10 დღის ვადაში საქართველოში რუსეთიდან ჩამოვა ინსპექტორების ჯგუფი, რომლებიც ადგილზე ინსპექტირებას მოახდენს და ამის შემდეგ იქნება აღნიშნულთან

დაკავშირებით გადამწყვეტილება მიღებული, — განაცხადა შალვა ფიფია.

მისივე განმარტებით, რუსი ექსპორტების ჯგუფი საქართველოში შემომწმენდენ იმას, თუ როგორ ხდება ხარისხის კონტროლი შიდა ბაზარზე.

— ამის შემდეგ გაიხსნება რუსეთის ბაზარი მაღალი რისკის შემცველი პროდუქტებისთვისაც.

ამასთან, სამინისტროში აღინიშნა, რომ რუსეთი საქართველოში საქონლის სორცის ექსპორტით არის დაინტერესებული. რუსეთში ამ დროისთვის 1 759 670 ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა.

მისივე განმარტებით, რუსეთი ქართული ღვინის საქსპორტო ბაზრების პირველ ხუთეულში შედის. რაც შეეხება ზოგადად, ექსპორტის თვალსაზრისით, ივნისის თვის მონაცემებს, მინისტრის თქმით, სულ 18 ქვეყანაში 1 630 612 ლიტრი 0,75-ლიტრიან ბოთლში ჩამოსასმელი ღვინის ექსპორტი განხორციელდა.

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულსლართების საერთო სიგრძე დაახლოებით 30 კილომეტრია. ოკუპაციის საერთო ხაზი - 350 კმ-მდე. აღნიშნული პროცესი 2011 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, ხოლო გააქტიურება 2013 წლის დასაწყისიდან შეინიშნება. მავთულსლართების ინსტალაციამ 20-მდე ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენა უკვე იქონია. ოკუპაციის ხაზის გარკვეულ ტერიტორიაზე გავლენა უკვე იქონია. ოკუპაციის ხაზის გარკვეულ ტერიტორიაზე გავლენა უკვე იქონია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლის გიორგი ჯილაურის განცხადებით, მავთულსლართების ფიქსაცია არის პროცესი, რომელიც ძირს უთხრის უსაფრთხოებას ადგილზე, ზღუდავს სასაზღვრო და საარსებო წყლის, საძოვრებით სარგებლობის საშუალებას. ეს პროცესი აიძულებს მოსახლეობას დატოვოს თავი-

ან დიდი ლოგიკური ალბათობით, არანაირად არ განხორციელდებოდა, რომ არა „ნაციონალური მოძრაობის“ აბსოლუტურად უსახო და გაუთვლელი პოლიტიკა.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი კი განმარტავს, რომ ის პროცესი, რომელიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს, არის იმ არსებული მოცემულობის გაგრძელება, რაც ახალ ხელისუფლებას დახვდა.

„ფაქტობრივად ჩვენს ხელისუფლებას არანაირი კონიერი არ გააჩნია გარდა იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად აღიარებს, რომ ჩვენი ტერიტორია ოკუპირებულია და ამ პროცესში გვიჭერს მხარს. რუსეთის ხელისუფლება როდესაც ამწვავებდა და აგრძელებდა ოკუპაციის პროცესს, მაშინ არგუმენტად მოჰყავდა ის, რომ მისთვის მიუღებელია სააკაშვილი და მისი პოლიტიკა, კვლავაც ელის სააკაშვილისგან აგრესიას და ამიტომ იღებს განსაკუთრებულ ზომებს უსაფრთხოების კუთხით.“

მას შემდეგ, რაც მათ დაინახეს, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს ცივილიზებული მშვიდობიანი პოლიტიკა, თუმცა მიზანი კვლავაც არის დეოკუპაცია, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამ ვითარებაში რუსეთისგან უნდა ყოფილიყო შემსვედრი ნაბიჯი. სამწუხაროდ, ჩვენ მივიღეთ არაადეკვატური რეაქცია.

იმ ფონზე, როდესაც არის პოზიტიური ტენდენცია, მათ შორის ეკონომიური თუ კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით, ამ პროცესში, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ ის მავთულსლართები, რომლებიც აქამდე იყო გაკვლეული, აელაგმა რუსეთის ხელისუფლებას, მაგრამ ეს პროცესი გააგრძელდა. რუსეთს მაინცდამაინც არ აწყობს ცივილიზებულ ფორმებში მოქცევა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოზიტიურ პოლიტიკას, პოზიტიური ნაბიჯი უნდა მოჰყვეს“, - აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ქართული მხარისთვის უცნობია, რითი ხელმძღვანელობს რუსეთი ოკუპაციის ხაზთან მავთულსლართების გაბმის პროცესში.

„რითი ხელმძღვანელობენ, ჩვენთვის უცნობია. რატომღაც ასახელებენ 2006 წლის რუკას, რომელიც არააგის არ აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ასეთი რუკა არ არსებობს. რაც შეეხება მექანიზმებს, რითაც დაპირისპირებულ მხარესთან კომუნიკაცია მიმდინარეობს, ერთ-ერთი მექანიზმია ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო წარმომადგენლებთან, ისე რუსებთან დაკავშირება ხდება. ეს მექანიზმი ძირითადად გამოიყენება დაკავებების შემთხვევაში“, - აცხადებს გიორგი ჯილაური.

გია ვოლსკის განცხადებით, რუსეთი ჯილაურის და სატელეტური მოწყობილობების გამოყენებით მიჰყვება საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებულ საზღვარს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

„არსებობს სააკაშვილის 2007 წლის 10 მაისის ბრძანებულება, რომლის მიხედვით არსებობს ასეთი ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე დროებით აღმინისტრაციის ხელმძღვანელად სანაკოვეი დაინიშნა. ხელმძღვანელად დანიშნვამდე აბსოლუტურად ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარებას შეუწყო ხელი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და პირადად სააკაშვილი.“

სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ საზღვრებში არსებობა პრეზიდენტის ამ ბრძანებულებითაც დასტურდება. სწორედ ამ საზღვარს მიჰყვებიან დღეს რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები. მაგრამ ზუსტად არააგის იცის რომელ მონაკვეთზე, რომელი რუკის მონაცემებს იყენებენ“, - აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას გია ვოლსკიმ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალანას განცხადებით, დაზვერვა ოკუპაციის ზოლში მიმდინარე პროცესებს აკვირდება და ყველა შესაძლო მოვლენისთვის მზადყოფნა გვაქვს.

ირაკლი სესიაშვილის განცხადებით თავდაცვის სამინისტროს თავისი განსაკუთრებული პოზიცია აქვს. მან უნდა გააანალიზოს ყველა საფარაულო სცენარები, მზად უნდა იყოს ყველანაირი აგრესიისთვის.

„მაგალითად 2008 წლის აგვისტოში ამის სამზადისი არ იყო და ეს ფაქტია. ამიტომ, თავდაცვის სამინისტრო მუშაობს, რომ მზად იყოს ყველა სცენარისთვის. მათ შორის თავდაცვის ზღუდეების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. შეიარაღებული ძალები იმისთვის არსებობს და იმისთვის გადის მომზადებას, რომ მუდმივი საბრძოლო მომზადება ჰქონდეთ. ეს არის პრევენცია, ეს არის ძალიან მარტივად ჩვენი თავდაცვის პოლიტიკა და ამ ვალდებულებას სამინისტრო კარგად ართმევს თავს“, - აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ირაკლი სესიაშვილმა.

თამთა ძარჩავა

დედა მიწის ზურგზე



იკაყუი ბაროისებებმა 17 დანადგარი შექმნა ააფთქას, მოკლეს 55 კაცი

ავტომობილები ჰაერში ავარდა, ხალხმრავალ ბაზრებსა და ქუჩებში, ავტობუსების გაჩერებებზე, შიიტების კვარტალებში და მის მიდამოებში, აგრეთვე ქალაქებში მაშპუდია, კუტისა და სამბაში, სადაც ასევე უშიშროებად შიიტები არიან დასახლებული.

იაკონელაბა გაასხლეს მოსკოვის წინააღმდეგო მხარეებმა დაიკავეთ კარგი სივრცე

რუსეთმა, როგორც ამტკიცებენ, შესთავაზა იაპონიას ერთობლივად განავითარონ კურილიის რიგის 4 კუნძული, რომლებზეც აქვთ პრეტენზია, თანაც ეს გაკეთდეს რუსეთის კანონმდებლობის საფუძველზე. ტოკიომ წინადადებაზე უარი განაცხადა - მისი მიღება ნიშნავდა იაპონელების მიერ ამ ტერიტორიებზე რუსეთის სუვერენიტეტის ფაქტობრივ აღიარებას.



პოლანდია იმხნეობა მსოფლიოში პირველი ხალხური პაპუზების გამოყენებით

შესაძლებელია, ექსპერიმენტი დაიწყებს ახალ ერას კაცობრიობისთვის და დაგეგმარება, გადავრჩეთ შიმშილისგან შესაძლო ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში. ექსპერტების აზრით, ხელოვნური ხორცი შეიძლება გაჩნდეს უკვე სუპერმარკეტებში უახლოესი 10 წლის განმავლობაში. ჰამბურგერი ხორცის 3 ათასი ფენისგან გაკეთდა, რომლებიც მიღებულია მსხვილფენა რქიანი პორტუგის ტანის უჯრედებისგან.

ავტობუსის აპარია იტალიაში, რომელმაც 38 კაცის სიცოცხლე იხსნა

იტალიის იტალიაში 10 თუ 11 გადაარჩენილის შესახებ, 2 მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაშია. სულ ავტობუსში დაახლოებით 50 კაცი იყო. დაიღუპა ასევე ავტობუსის მძღოლი. მიაჩნიათ, რომ ავარია მოხდა აფეთქებული საბურავის გამო და მძღოლი შეეცადა, გაეჩერებინა ავტობუსი, რომელზეც მან მართვა დაკარგა.



30 კმ-იანი გადაულახავი ბარიერი

ანთი საცხოვრებლები და გახდნენ იძულებით გადაადგილებული პირები.

როგორც ჯილაური აცხადებს, მავთულსლართების გაბმის გამო ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა გორისა და კასპის რაიონების სოფლებიც. გორის რაიონის სოფელ ნიქოში 2-3 კილომეტრს აღწევს გავლებული მავთულსლართი, რომლის დიდი ნაწილიც თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოდის. ამის გამო მიწები უკვე მოექცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.



იგივე პრობლემის წინაშე დგას სოფელ გუგუთიანთარის ადგილობრივი მოსახლეობა. ანალიტიკური ვითარებაა დიდ ხურვალეთში, რომელიც მთლიანად თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იყო, თუმცა მავთულსლართების ფიქსაციის გამო სამი სახლი მოექცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. სოფელ დვანში მავთულსლართების გარკვეული ნაწილი თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს, რის გამოც საარსებო სისტემები და მიწების ნაწილი უკვე ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

რაც შეეხება დიქს - აღნიშნული ტერიტორია, თითქმის, მთლიანად შედარებით მავთულსლართების ნაცვლად ამ სოფელს ღობე აქვს შემოვლებული. ღობეების საერთო სიგრძე 3 ათას მეტრს აღწევს. კასპის რაიონის გარკვეულ სოფლებშიც დაწყებულია ფიქსაციის პროცესი, რომლის საერთო სიგრძე ამ დროისთვის ნახევარი კილომეტრია.

ანალიტიკური ვითარებაა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, მავთულსლართების ნაცვლად იქ ტერიტორიის შეღობვა მიწათხრილებით მიმდინარეობს. მიწათხრილების სიგრძე 170-180 სმ, სიგანე კი 3-5 მეტრია. ოკუპაციის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწათხრილები შემდეგ სოფლებს შორის ფიქსირდება - ოტობაია-განმუხური-ორსანტიას მონაკვეთი, ნაბაკევი-ხურჩას მონაკვეთი, თავილონი-შამგონას მონაკვეთი და თავილონი-ჭუბურხინჯის მონაკვეთი. დღევანდელი მონაკვეთებით, მიწათხრილების საერთო სიგრძე 3 კილომეტრია, ოკუპაციის საერთო სიგრძე კი 85 კილომეტრამდე.

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელი გიორგი ჯილაური განმარტავს, რომ მავთულსლართების გაბმის პროცესის დაწყების დღიდან ეს საკითხი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის შესვდრის ფორმატში მუდმივად დგას.

„როცა „ეფებე“-ს სასაზღვრო ძალებს ვესაუბრეთ, გვითხრეს, რომ პროცესი იქნება ბოლომდე მიყვანილი და ყველგან გაავლებენ მავთულსლართებს. რა თქმა უნდა, ჩვენმა მხარემ მკაცრად გააკრიტიკა აღნიშნული პროცესი და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ შეჩერება. ასევე, აღნიშნული საკითხი განხილულია ყენევის დისკუსიების 23-24-ე რაუნდებზე. გარდა ამისა, იენისში ჩვენ მოვიწვიეთ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც არსებული მდგომარეობა გაგვაცანით“, - აღნიშნა გიორგი ჯილაურმა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი აცხადებს, რომ ოკუპაცია ამ ტერიტორიების ძალი-

შაბათ-კვირის ჩანაწერები



სალომე ცრემლი მაღინა...

მასაჰირო არაფერია – ბევრი იქნებოდა გასულ კვირა საღამოს ჩემ დღეში – მშვენიერმა, ნიჭიერმა ქართველმა მომღერალმა სალომე ცრემლიმ მეორე ადგილი და, ამასთან, 30 ათასი ევრო აიღო ლატვიის საკურორტო ქალაქ იურმალაში მიმდინარე ტრადიციულ მუსიკალურ ფესტივალზე.

ნ დღის განმავლობაში ჩვენი გოგონა არ ჩამოსცილებია პირველ-მეორე პოზიციას, არ დაჰკლებია მაყურებელთა ტაში და აღიარება (ეფერა და ეფერა სვენიო, რომელმაც წინა დღეს გვარნიანად მიჰქარა – რატომღაც დაბალი – 8 ქულა დაუწერა სალომეს, ეტყობა, თავის დროზე, თბილისში სტუმრობისას, ქართულმა გადაჭიჭინებულმა მასპინძლობამ და ხინკალმა უარყოფითად იმოქმედა), უკან მოიტოვა სალომემ მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი, კუმბელ მომღერალთან მხოლოდ ერთი ქულა დათმო და, სამოლოოდ, მეორე ადგილზე გავიდა, რამაც, სწორედაც რომ მოგვგვარა თვალზე სიხარულის ცრემლი და გულში გვათქმევინა: „ღიახ, საქართველო არის ესე!“

არსენას ცსომოშვილის წიგნი


მს ჩვენი არსენა, ჩვენი მეგობარი და კოლეგა არსენ ერემიანი – ფილოლოგი, პოეტი, პრეზიდიუმი, რედაქტორი, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა გავრცელების „ვეჩერნი ტბილისის“, „ბარია ვოსტოკას“ („თავისუფალი საქართველოს“), „იმერია-სპექტრის“ რედაქციებში... იყო პარტიული სამუშაოზე. იგი არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჟურნალ „რუსული კლუბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, არსენ ერემიანის წიგნები – ლექსები და მოთხრობები – გამოცემულია თბილისსა და მოსკოვში, ქართულ და რუსულ ენებზე... არსენა ძირძველი თბილისელი სომეხია, რომელსაც, შეიძლება ითქვას, თავისი სამშობლო – საქართველო არავისზე ნაკლებად არ უყვარს, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და დღესაც უდიდესი პატივისცემით იგონებს იქაურობას. „არსენა ჩემი თანაკურსელია, – მიაბროსს პოეტი ემზარ კვიციანი, – ოდესღაც იგი რუსულ განყოფილებაზე სწავლობდა... დეკანი გვყავდა ქალბატონი თინა მრეველიძე... გულმა გულს თავიდანვე იცნო, რადგან ორთავენი წიგნითა და პოეზიით ვსულდგმულობდით... ხშირად ერთად დავდიოდით რუსთაველზე... ვთარგმნიდით ერთმანეთის ლექსებს, როგორ შეიძლებოდა იმის გარჩევა, ვინ სომეხი იყო, ვინ ქართველი... ერთი იყო დედა, რომელიც უყვარს რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია... იგი ქართველი და სომეხი ერების ურთიერთპატივისცემის ერთ-ერთი ნამდვილი მაგალითია.

ფიზიკური

● დღეს ქუჩაში ვიღაც პატარა გოგონამ ბათუმში აპარტამენტების შესაძენი სარეკლამო ბუკლეტი მომცა. მესამომხმარებელი ვიყავი ისე გამოვიყურებ, რომ ბათუმში აპარტამენტების მყიდველს ვგაგარა: გაიხარე „ახალი ხელისუფლება ისე აღაშენებ საქართველო“, რომ აპარტამენტების მყიდველები საგნისა მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორია: ● მე არ ვიცი ისინი დაგალებას ასრულებდნენ, თუ თვითნებობდნენ, მაგრამ აშკარაა, რომ ინიციატივებს ხალხით იჩენდნენ! არ მიმართა სწორად საშუალო და დაბალი რანგის იმ მოხელეების დანაშაულებების ამნისტირება იმიტომ, რომ მათ, ავალბებდნენ და თურმე სისტემის მსხვერპლი ყოფილან!!! თუ ამ დანაშაულს ესენი მხოლოდ დაგალებით სწავლობდნენ, გამოდის რომ სხვა დროსაც შეასრულებდნენ მსგავს დაგალებებს და ჩაიდენდნენ დანაშაულს!

ჰოდა, ახლახან არსენ ერემიანს, შეიძლება ითქვას, თავისი ცხოვრების წიგნი გამოუცია, რომელიც სავესე ავტორის მიერ სხვადასხვა დროს უწინააღმდეგეთებში, წიგნებში გამოქვეყნებული რჩეული ლექსებით, მოთხრობებით, ნარკვევებით, შთამბეჭდავი ფოტომასალით, მეგობართა გულთბილი წერილებით, რომლებშიც საუბარია ჩვენი არსენას კაცურ-კაცობაზე, მრავალმხრივ ნიჭზე, იმ სამეგობროდ გადაძლიერებულ გულზე, რომლითაც არსენ ერემიანი, ჭეშმარიტად, კეთილ სამსახურს უწევს ქართველი და სომეხი ერის მტრ და მტრ სიბოროტს. მისი გულის სითბო უკვე წიგნის სათაურშიც ნათლად ჩანს – „შვილი დამიძახე“ – სთხოვს იგი ქართულ მიწა-წყალს, მის ადამიანებს, რომელთაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულეს არსენ ერემიანის გამორჩეულ პიროვნებად და მწერლად ჩამოყალიბებაში.

წიგნი კი იხსნება კონსტანტინე გამსახურდიას 1971 წელს ჟურნალ „ლიტერატურაში“ დაბეჭდილი წერილით „დაე სამარადისო იყოს ჩვენი ძმობა!“



ეს ძმობა და ორ ერს შორის კეთილი ურთიერთობები (რასაც არცთუ იშვიათად ამღვრავს ზოგიერთი ტვიზანეცხილი ისტორიკოსი) არსენ ერემიანის წიგნითაც დასტურდება.

მათი „გამჭვირვალე“ ანტიქართულობა...

ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ღამე რომ არ სძინავთ სამშობლოზე ფიქრით, ერთხელაც დამტკიცდა. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, რომელიც, სულ არ არის გასაკვირი, უცხოეთიდან გვარნიანად ფინანსდება, აპირებს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი – ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისების აკრძალვის შესახებ ახლახან მიღებული კანონის გასაუქმებლად. მაშ, ვიღაც ბიჭუჭუბუკს, რომელსაც, დამატებითად რომ უღერდეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ დაურქმევია თავისი „მოდერნიზაციის“ ვითომ, „საერთაშორისო კანონმდებლობით“ აპირებს საქართველოს პარლამენტის მიერ ჩვენი ხალხის გასახარად, ძლიერ მიღებული კანონის „კანონითვე“ გასაჩივრებას საკონსტიტუციო სასამართლოში და სულაც არ ანაღვლებს, რა ჭირი სჭირს ჩვენს დედულ-მამულს, მტკაველ-მტკაველ რომ ვზომავეთ, თუ დაგვრჩა რაიმე, ისედაც სამარადუამოდ გასხვისებული მიწა-წყლიდან. ყოჩაღ, თქვენ, ახალგაზრდებო, საქართველოს მომავალი! ეგრე უნდა, აბა რა, თქვენ ხომ „კანონიერად“ მოქმედებთ – ქართული მიწები სწორედაც უნდა გაიყიდოს უცხოელ ინვესტორებზე! ჭკვიანად იყავით, ჭკვიანად, მიიღებო! ისედაც ნერვებდაწყვეტილმა ქართველმა ხალხმა თავზე არ გადაგახიოთ „უცხოელი მეგობრების“ მიერ ნაკარნახევი ეგ თქვენი „კანონი!“ შეიგნეთ, რომ ამ შემთხვევაში, ამოქმედებულია ერთადერთი „ქართული კანონი“, რომელიც მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: „ქართული მიწა აღარ უნდა გაიყიდოს!“

„გამრავალფეროვნებული“ სანაგვის „ბიზნესი“

პარმა ხანია, შევაჩვიეთ თვალი სანაგვეებში მქეჩავებს – ჩვენს ულუკმაპურო საცოდავ თანამემამულეებს, რომლებიც, ძირითადად, სანაგვეებში ნაპოვნი ჩაბინძურებული ბოთლების „ბიზნესით“ არიან დაკავებული, ავროვებენ ბოთლებს (ვინ მეტს, ვინ ნაკლებს) და მერე სად, ან ვის აბარებენ, მე პირადად, ვერ გეტყვით, მაგრამ იმას აღარ უნდა დიდი მიხვედრა, რომ ცოტა ხანში ეს ჩაბინძურებული ბოთლები, ჩვენ, ანუ მომხმარებელს გაკრიკული და ლიბონათით, ან ლუდით სავესე გვიბრუნდება... ამას შევეჩვიეთ... მაგრამ ღმერთო გვიშველე, ალექსანდრეს ბაღში „გამრავალფეროვნებული“ სანაგვის „ბიზნესის“ ვნახეთ... აქ გამოჩნდა კაცი (ერთ დროს ავტონიუინერი ყოფილა), რომელიც ალიონიდან დადის ბაღში, ამოწმებს სანაგვეებს და ვეებერთელა ცელოფანის პარკებში უშვებს თითქმის ყველაფერს, რასაც სანაგვეები წააწყდება (რა თქმა უნდა, საჭმლის ნარჩენების გარდა). ვკითხე ერთხელ, რას უშვებს ამდენ ხარახურას-მეთე. მწარედ ჩაიციხა: არის ერთგან მიმღები პუნქტი, სადაც მიმაქვს ეს ყველაფერი, მძღვევენ გროშებს, ჩემს მიტანილს კი რაში იყენებენ, აღარ ვიცი და არც მაინტერესებს... ევეე... შენს „ბიზნესს“ გაუმარჯოს, ძმაო, ჩვენ მხოლოდ ის ვიკითხოთ, სანამდე უნდა ვხედავდეთ ამ გაუბედურებულ ქვეყანაში იქით ხელგაშვერილ მათხოვრებს და აქეთ – ნაგავში მქეჩავებს!!!



საბა

ახალგაზრდა ქალს „მარშრუტკაში“ მუხლებზე უზის ორიოდ წლის ოქროსფერთმინი ბუთხუზა ბიჭი და დროდადრო ტურებით ყურისძირში ეფერება. გვერდით მამაკაცი გატრუნულა. იგი, ეტყობა, შეზარხოშებულია და ცდილობს, არ შეიძინოს. ხანდახან მიჭს გადახედვას და თვალს ჩაუკრავს. ნურას უკაცრავად – ბიჭუნა გაბუსუნებული ზის და შიგადაშიგ მოწყალებდ თუ შეაჩერდება შეზარხოშებულს. – თქვენი? – კითხულობს კაცი. – დიახ. – ღმერთმა გაგიზარდოთ... რამდენი გყავთ?! – ჯერჯერობით – ეს, – მორცხვად ელიძება ქალს. – რა ჰქვია? – საბა. მამაკაცს სიხარული და გაკვირვება ერთად უთამაშებს სახეზე. – ყოჩაღ... ვინ მოინდომა ამ სახელის დარქმევა?! – მეუღლემ. – თქვენს კარგ მეუღლეს გადაეცით, გაასიეროს პატარა საბა აქვე, ტანძარში, სულხან-საბა ორბელიანის სამშობლოში... იცით, რა ლამაზია იქაურობა?... ერთი, თუ ძმა ხარ, მანდ გააჩერე, მგონი, გავცდი კიდევ!.. – მძღოლს მიმართავს კაცი, მერე დედა-შვილს ემშვიდობება, საბას მგზავრობისა და გაცნობის ფული გადახდილიაო, ღიმილით უბარებს დედას, მოფერებით, ნაზად ჩქმეტს ლოყაზე მიჭს, გაისად ამ დროს, სულხანთან ერთად შემხვედროდეთ, და „მარშრუტკიდან“ კმაყოფილი ჩადის. ვილენ გარდალივილი

წერილობანი ფრაზები

თუ ამ დავალების შესრულებისას მათ სინდისიც არ ქენჯინდათ და ისე აკეთებდნენ (რაც უფრო სარწმუნოა) იმას, რასაც აკეთებდნენ, მაშინ ხომ ზედმეტია კიდევ რამეზე ლაპარაკი ორივე შემთხვევაში ასეთი ადამიანები არ უნდა გააჩერონ სახელმწიფო სამსახურში იმიტომ, რომ: 1) მათ კანონი დაარღვიეს; 2) მათ არ აქვთ ნებისყოფა, რათა უარი თქვან დანაშაულებრივ ქმედებაზე; 3) ქვეყანას ჭაობში სწორედ ასეთი ტიპები ატივტივებდნენ? წლის მანძილზე; ● ისეთი განცდა მაქვს (ნეტავ, ვცდებოდე), თითქოს ნელა გვეკავდნენ, რათა სვალ საერთოდ გავქრეთ. ჩუმად და უხმაუროდ გავქრეთ. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც „ვაზელის“

● არ მომწონს, რომ პრემიერის ფიარ-მრჩეველები, თუ საინფორმაციო სამსახური ისეთივე უხეში, დილტრანტური მეთოდებით აკონტროლებს მედიასივრცეს, როგორც (თავის დროზე) სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგები აკონტროლებდნენ. სამწუხაროა, რომ სტილი უცვლელია. ჩვენ კი, სრულიად სხვა სტანდარტის მოლოდინი გვქონდა. რა შეიცვალა, როცა რესპონდენტებს ისევ ახარისხებენ „სასურველებად“ და მიუღებლობად, როცა ისევ „კეტავენ“ არსებს, სხვადასხვა თემების შერჩევას, როცა სახელმწიფო სტრუქტურების რეკლამების განთავსების საკითხი (ანუ რომელ ტელევიზიასა და რადიოში უნდა ჩაიდოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები) კვლავ პრემიერის მრჩეველების განწყობების მიხედვით წყდება. საოცრება ისაა, რომ ამ რეკლამების დიდი ნაწილი არა დამოუკიდებელი ტელევიზიების განვითარებას ხმარდება, არამედ „რუსთავი 2“-ის ბიუჯეტში მიედინება. ამოკრიაბა ვია გავრილიძე

⊙ ჩიხიონთა ლიგა

# სინუს უიგნიდან ტახდნენ



შაბათს 17 საათსა და 10 წუთზე პატრულის წარმომადგენლებმა თბილისის „დინამოს“ ყველა თანამშრომელს დიდმის საწვრთნელი ბაზის ტერიტორიის დატოვება სთხოვეს. საგარეოდ, მიზეზი ანონიმური სატელეფონო ზარი გახლდათ — ბაზის ტერიტორიაზე ნაღმის არსებობის შესახებ. დიდმის საწვრთნელ ბაზაზე ოპე-

რატოულად მივიდნენ განაღმვის სამსახურის წარმომადგენლები. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი სრული შემადგენლობით ბაზის გარე პერიმეტრზე აღმოჩნდა და 18 საათისთვის დანიშნული ვარჯიში ჩაიშალა.

ფეხბურთის გულშემატკივრებს მოეხსენებათ, რომ დღეს დინამოელებს პრინციპული შეხვედრა ელით უფასო ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე. ისინი 20 საათზე ბუქარესტის „სტიაუსას“ მიიღებენ. საბოლოოდ განაღმვის ოპერაცია მშვიდობიანად დასრულდა და საკმე ცრუ განგაშთან გვექონდა. სამწუხაროა, რომ ჩვენ საზოგადოებაში არსებობენ მავნებლები, რომელთა ქმედების კვალიფიკაცია, მინიმუმ, „დინამოს“ წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟად შეიძლება შეფასდეს.

გიორგი შოთაძე

⊙ ქაღრაპი

# ბელგრადში ქართველები ლიდერობენ



საბურთის დედაქალაქში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ვერობის XIV ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც შევიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება და 3 აგვისტოს დასრულდება. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 60 000 ევრო, საიდანაც ჩემპიონი 10 500 ევროს მიიღებს, მეორეადგილოსანი — 8 250-ს, ბრინჯაოს პრიზიორი — 6 500 ევროს. სულ თანხა ოც საუკეთესო მოჭადრაკეზე გადანაწილდება. სასიამოვნოა, რომ ექვსი ტურის შემდეგ 5,5 ქულით ნინო ხურციძე მენინავეობს — ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით ერთპიროვნული ლიდერი ალექსანდრა გორიანკინა დაამარცხა. 5 ქულით მე-2 ადგილზე გადანიშნულა სალომე მელიამ — ქართველმა დიდოსტატმა მე-6

ტურში ბულგარელ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ანტონეტა სტეფანოვას მოუგო. საგულისხმოა, რომ 5 ქულა კიდევ ოთხ მონაწილეს აქვს, მაგრამ მელია მათ დამატებითი მარჯვებლებით უსწრებს. შეჯიბრებაში სულ 15 ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს. ექვსი ტურის შემდეგ მათ ასეთი მარჯვებლები აქვთ: მაკა ფურცველაძე, მერი არაბიძე, ბელა ხოტუნაშვილი, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინიშვილი — 4,5-4,5, ნინო ბაციანაშვილი — 4, სოფიკო გურამიშვილი, სოფიო გვეტაძე, ლელა ჯავახიშვილი — 3,5-3,5, ანა გაგაშვილი, მირანდა მიქაძე, სოფიო ნიკოლაძე — 3-3, მადონა ბოკუჩავა — 2,5 ქულა.

გივი გაბუა

⊙ ფეხბურთი

# ტახლო

შვიდეთი. ვერობის ქალთა ჩემპიონატი. ფინალი. გერმანია — ნორვეგია 1:0. გერმანია ზედიზედ მეექვსედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. აღსანიშნავია, რომ მისმა მეკარემ ანგერერმა სატი ტულო თამაშში ორი პენალტი მოიგერია. შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ რაუნდში ამ გუნდების მატჩი სკანდინავიელებმა მოიგეს — 1:0.



აშშ. კონკაგაფის ოქროს თასი. ფინალი. აშშ — პანამა 1:0. ეს ამერიკელთა მესამე გამარჯვებაა აღნიშნულ ტურნირში.

გერმანიის სუპერთასი: „ბორუსია“ — „ბაიერნი“ 4:2.

⊙ ავტოსპორტი

# ჰამილტონმა უნგრეთში ისევ კოულიდან მოიგო

ლუის ჰამილტონმა მეოთხედ მოიგო უნგრეთის დიდი პრიზი და ამ მარჯვებულთა მიხედვით უმჯობესეს გაუტოლდა. ამ ორ მრბოლს პუნტარორინგზე გამარჯვების თასი ყველა-

ფინიშთან ჰამილტონმა 10 წამით მიასწრო კიმი რაიკონენს, რომელმაც გარისკა და საბურავი მხოლოდ ორჯერ შეცვალა, თუმცა რბოლის მიწურულს საკმაოდ იოლად ახერხებდა სეზონის შეტევების მოგერიებას. ერთხელ, ბონურზე, გერმანელმა გადაამწყვტი იერიში სცადა, მაგრამ კიმიმ საკმაოდ ხისტად აღკვეთა მისი მცდელობა და ამით მეორედ აღიწინა თვის ბრძოლის სურვილი საბოლოოდ გაუქარწყლა.

**უნგრეთის დიდი პრიზი**  
1. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მერსედესი) 1:42:29.445, 2. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ლოტუსი) 00:10.938, სეზონის ფეტველი (გერმანია, რედ ბული) 00:12.459.  
**მრბოლთა კლასიფიკაცია**  
1. სეზონის ფეტველი — 172 ქულა; 2. კიმი რაიკონენი — 134; 3. ფერნანდო ალონსო — 133 ქულა.  
**კონსტრუქტორთა თასი**  
რედ ბული-რენო — 277 ქულა; 2. მერსედესი — 208; 3. ფერარი — 194 ქულა.

ვიტალი ჯაფარიძე

⊙ ძიულე

# მსოფლიოზე-10 ვაჟითა და 5 გოგონათი

მაიამი (აშშ) 8-11 აგვისტოს ქაბუკი დიუდოსტა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. საქართველოს ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ირაკლი ცირევიძემ იქ წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა. ოკეანის გაღმა იჭიდავებენ: რობიზონ ბეგლარიშვილი, თორნიკე ნაგლიაშვილი (ორივე — 50), ერეკლე არხოზაშვილი, ბექა ნათათრაშვილი (55), გიორგი კაციაშვილი (60), კობა მჭედლიშვილი, სიმონ მამარდაშვილი (ორივე — 66), თამაზ კირაკოზაშვილი (73), იესო კვირიკაშვილი (81) და დავით რამაზაშვილი (90). ამათგან წლეულს ტალიში ვერობის პირველობაზე ნაგლიაშვილს, არხოზაშვილსა და კვირიკაშვილს არ უჭიდავიათ, ხოლო ბეგლარიშვილი და რამაზაშვილი მესამე ადგილებზე გავიდნენ. სამაგიეროდ, უტრესტში (ჰოლანდია) ვერობის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე არხოზაშვილი და კაციანაშვილი ჩემპიონები გახდნენ, კირაკოზაშვილი და კვირიკაშვილი მეორეზე გავიდნენ, მამარდაშვილი მესამე იყო.

მაიამიში ჩვენი გოგონებიც იჭიდავებენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია თენაძე მსოფლიოს პირველობაზე საასპარეზოდ მზია ბებოშვილს, სალომე მარგიანს (ორივე — 48), მარიამ ჯანაშვილს, გურანდა შოთაძეს (52) და ხატია ჯანაშვილს (63) წაიყვანს. შეგახსენებთ, რომ მარიამ ჯანაშვილიმ ვერობის პირველობაზე ოქროს, უტრესტში კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო ბებოშვილი ვერობაზე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს წინა პირველობაზე 2011 წელს კიევში ჩვენმა გუნდმა 5 მედალი მოიპოვა — 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო. საქართველოს დელეგაცია მაიამიში 1 აგვისტოს გაფრინდება.

ლემსო ცინცაძე



⊙ ჩოგბურთი

# ოქსანა ფეციკოვა ბაჟო მოიგო

ბაზილში 2013 წლის დედაქალაქში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ბაქოს თასი“ (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი). ტურნირში შესანიშნავად იასპარეზა 22 წლის თბილისელმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელმაც კარიერაში პირველად მოიგო ქალთა საერთაშორისო ასოციაციის (WTA) მიერ ორგანიზებული შეჯიბრება. ჩვენებური წყვილებში უკრაინელი ირინა ბურნიაკოვთან იყო შეამსხანაგებული. ამ დუეტმა საჩემპიონო გზაზე ოთხჯერ გაიმარჯვა: სტარტზე რუმინელი ალექსანდრა კადანტუ და ესპანელი ინეს ფერერ სუარესი დაჯაბნა — 6:1, 6:2, შემდეგ თამარ ჭალაგანიძისა და აზერბაიჯანელი ნაზინ ჯაფაროვას მძლეველი ბელარუსი ილონა კრემენი და რუსი მარინა მელნიკოვა დაამარცხა 6:4, 7:5, ნახევარფინალში მე-4 განთესვის მქონე ჩეხი დები — კაროლინა სერბი ვესნა დოლონცის ტანდემს აჯობეს. გადამწყვეტ პაექრობაში ოქსანამ დაირინამ ბერძენ ელენე



მა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა დააჯილდოვა.

**„ბაქოს თასის“ გათამაშებაში მონაწილეობდა თბილისელი ანა ტატიშვილიც, მაგრამ იგი როგორც ერთეულში, ისე წყვილებში საწყის ეტაპზე გამოეთიშა შეჯიბრებას. ამ კვირაში ქართველი ჩოგბურთელი ვაშინგტონში „სიტი ოუფენის“ (საპრიზო ფონდი 235 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ითამაშებს. მისი პირველი მტოქეა ფრანგი კაროლინ გარსია.**

**გერმანიის 10-ათასიან ტურნირზე გამოდიოდა სოფიო ქვაცაბაია.** მე-6 ნომრად განთესილმა ქართველმა ჩოგბურთელმა სტარტზე გერმანელ კაროლინ უებელს მოუგო 6:3, 6:3 მოუგო, რუსეთის სახელით მოთამაშე ნათელა ძალამიძე 6:3, 7:6 (7:5) დაამარცხა, მეოთხედ დამამწყვეტ პაექრობაში კრეიშოვასთან საასპარეზოდ ვერ გავიდა და, ცხადია, წაგება ჩაეთვალა.

ლავა დიდა

მიკვირს და გამკვირვებია...

რა იქნება, ერთხელ მაინც...

იმ ვერცხვს რომელიც თუ ადრე წოდებულ სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციულ საზღვარს მართო ქართველები გადაკვეთენ სოლმე? მავრისა თუ ჯონჯოლის საკრეფად ტყეში მართო ქართველები მიდინ სოლმე? სულ ქართველებს რომ აბატიმრებენ, ოსები არც ერთხელ არ გადმოსულან მაგ ოსები ადმინისტრაციული საზღვრის აქეთ? ისინი თუ არიან ქართველებსათვის მოკეთებები, ქართველები „პირიქით“, არ არიან მოკეთებები, რომ მათ სანახავად გადმოდიოდნენ? სულ ქართველთა აბატიმრება რომ გვესმის, ერთი ოსი ვერც ერთხელ ვერ დააკავებს?

„საზღვარზე“, ის მსუბუქი ავტომობილი სატიკროტოზე შეაგორეს და პატრონიანა გაიტაცეს. დღისით, მზისით, ვითომც არაფერი, ვითომც იქაურობა სულ უკონტროლოდ არის და ისე ჩანს, არის კიდევაც უმეტესად უცხოელი. უშიშროების საბჭო რომ გვყავს დიდის ამბით, იმ საბჭოს რომ ფართოდ მოქმედებდა და სახეობრეცია და ბრეცია მდივანი ჰყავს, კიდევ რომ სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც არსებობენ — რა იქნება, ერთხელ მაინც ჩაიფიქრონ და მოამზადონ სპეცოპერაცია, ერთხელ მაინც ჩაუხაფრდნენ იმ საყარალოდ და გამტაცებლებად გადმოსულ ოსებს, შეიპყრონ და მთელ მზისქვეშეთს ანახვიონ რუსეთ-ევროპიან-შტატებთან. აჩვენონ, თუ როგორ გამოეპარებათ ხოლმე ქართველების ხელისუფლებას გაფიცვები და განაფულ რუს მესაზღვრეებს ოსი ავაზაკები. მე უნდა ვურჩევდე და ვუკარნახებდე ქვეყნის ძალოვანებს ამ ვარიანტს?..

პარლია პალოძე

ორვაგი სტანდარტი...

ლოპესი, სტოუნის და ფულგოზალე პრეზიდენტი

პოლივუდში კინოვარსკვლავმა ჯენიფერ ლოპესმა თურმე თურქმენეთის პრეზიდენტის ზეიმობაზე იმღერა. მერე, როცა მსოფლიოს საზოგადოებრიობისაგან საყვედური მოისმინა, დიქტატორის წინაშე რატომ გამოხდებოდა, „ბგული-სამარუყვებლად“ შენიშნა — არ გიცოდია, ის ვინც იყო.

რესად განაწყენებული დარჩა, როცა თურქმენული ვოიაჟი გაუშვა ურდა. არადა, იქ გამგზავრებას მხოლოდ და მხოლოდ უზარმაზარი თანხის გულისთვის დახარბდა. იმის დაჯერება, რომ თითქოს არ იცოდა, ვინ იქნებოდა მისი მასპინძელი, სისულელეა, ეს საკენჭი ბრიყვებს დაუყაროს. უფრო საფიქრებელია, რომ ქალბატონმა ჯენიფერმა, სანამ ნახევარ პლანეტას გადაიფრენდა, გამოიკითხა, თუ სად და ვისთან გამოვიდოდა.

დიანს, ეს წმინდა წყლის სინაობა, იგივეა, რაც ამოძრავებს შერონ სტოუნის ტიპის ქალებსაც, შერონისა, რომელიც ყოველნაირი კასრის ნახვრეტს მოერგება ხოლმე, როგორც ერთხელ, თუ მოიგონებთ, ქართული კასრისაც... ..თურქმენეთში ლოპესის ჩაფრენამ და იქაურ პრეზიდენტთან მილიონიანმა წაკეკლუცებამ სააკაშვილი და მასთან ასევე მილიონების ფასად ჩამოფრენილი ლამაზმანები ხომ არ გაგახსენა, პატივცემულო მკითხველო, იმავე სტოუნის ჩათვლით? ეს წერილიც ამის გასახსენებლად მომზადდა...

თავაზ ილვალი

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ალიან-ჩალიანი

საპარტიკო სწავლა 16 სექტემბერს დაიწყება

— ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა. სანიკიძის ინფორმაციით, სამინისტრო სკოლებში არსებულ სიტუაციას მონიტორინგისა და აუდიტის სამსახურის მეშვეობით „დიდი ლუბით“ დააკვირდება. განათლების ახალი მინისტრი დავით ზურაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზსაც განმარტავს. — მინდოდა, მოვალეობის შესრულება სუფთა ფურცლიდან დამეწყო, რის გამოც საჭიროდ ჩავთვალე ძველი მოადგილეების გათავისუფლება და ახლების დანიშვნა, — აცხადებს სანიკიძე. განათლების მინისტრის ინფორმაციით, უკვე შერჩეული ჰყავს მოადგილეობის რამდენიმე კანდიდატურა, რომლებსაც პრემიერს დასამტკიცებლად უახლოეს მომავალში წარუდგენს.

რით შეიძლება დავეხმაროთ პარტიებს?

პარტიების აკრძალული შემოწირულობისა და აკრძალულ საწევრო შენატანის დეფინიცია კანონში კონკრეტდება. როგორც მმართველი გუნდი განმარტავს, ეს საჭიროა იმისთვის, რომ კონფლიქტის პარტიის მთელი თანხა არ დაეჭვებდებაროს, რისი პრაქტიკაც არსებობს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტს დაემატა მუსლი, რომლის თანახმადაც, აკრძალულ შემოწირულობად და საწევრო შენატანად ითვლება: აღნიშნული კანონის წესის დარღვევით განხორციელებული შემოწირულობა და საწევრო შენატანი, კანონით განსაზღვრული არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული შემოწირულობის და საწევრო შენატანის სრული ოდენობა, ასევე უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი შემოწირულობა და საწევრო შენატანი.

აღვოკატი სინეპი ნარკობიოს შეტანას ცდილობდა

„ინტერპრესის“ ინფორმაციით, ადვოკატი ელზა მ. ნარკოტიკულ საშუალებას საშოში ინახავდა და ცინეპი შესვლამდე გასაგვლედი შემოწმების შედეგად აღმოუჩინეს, რის გამოც დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ემ. რომელიც სასჯელალსრულების №18 დაწესებულებაში მყოფი ერთ-ერთი მსჯავრდებულის ინტერესებს იცავდა, აღნიშნულ დაწესებულებაში შევიდა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულისათვის, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი მცირე რაოდენობით ნივთიერების გადაცემა სცადა, რა დროსაც, ის ზემოთ ხსენებული დეპარტამენტების თანამშრომლებმა დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ითვალისწინებს.

ამასთან, სასჯელალსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული დანაშაულს აღიარებს, — თბილისის საქალაქო სამართალმ მას უკვე შეუფარდა გირაო.

ინტერპრესი

ინფორმაცია

4 დღის განმავლობაში საქართველოში გრილი აფინდი იქნება

მომდევნო 4 დღის განმავლობაში საქართველოში შედარებით გრილი აფინდი იქნება. როგორც „ინტერპრესის“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოკლევადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსმა დოქტორმა გვაზავამ აცხადა, უახლოეს დღეებში დასავლეთ საქართველოში წვიმიანი აფინდია მოსალოდნელი და ჰაერის ტემპერატურა 23 გრადუსი იქნება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 26 გრადუსი.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იწვიმებს, აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში კი გამოიდარებს, თუმცა ტემპერატურა 26-28 გრადუსს არ ასცდება.

საპრქივო სტატისტიკური ჩანაწერების თანახმად, 29 ივლისს თბილისში ყველაზე მაღალი ტემპერატურა 1899 წელს 40 გრადუსი დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი ტემპერატურა 13 გრადუსი 1985 წელს იყო.

ინტერპრესი

მოუარეთ საკუთარ თავს

შეტევა სტრესზე

რბტომბა, რომ ზოგნი სტრესულ ვითარებას ადვილად იტანენ, ზოგს კი ოდნავ უსიამოვნებაც კი, რომ იტყვიან, „ჭკუიდან შლის“ როგორ გაიძულეთ საკუთარი თავი ნერვულ დაძაბულობებს უფრო მედგრად დაუდგეთ? სტრესის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია, მასზე ყველანი რეაგირებენ. სხვა საქმეა, რომ რეაქცია შეიძლება ნორმალური იყოს და პათოლოგიურიც. ნორმალურებს ნევროლოგები ორი ტიპის რეაქციებს მიაკუთვნებენ, რომლებსაც, პირობითად, შეტევას ან გაქცევას უწოდებენ.

ლი თქვენთვის, საგნებით ნორმალურად მიჩნეული სტრესის დროს ნერვული ალგზების განცდა. ამასთან, აქცერებული გულისცემა, წნევის აწევა, აგრესიის სურვილი — ეს სიმპტომები საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სერიოზულად დაფიქრების საბაბია. სტრესზე ასეთნაირად მორეაგირე ადამიანებში პიბერტონისა და გულის დაავადებათა რისკი გაცილებით მაღალია, ამიტომ უმჯობესია ექიმს დროულად მიაკითხონ.



იგივეს გაკეთებას გვირჩევენ იმ შემთხვევაშიც, თუ ნერვული განცდის შემდეგ თავის ტკივილი და უძილობა გეწყობათ, მით უმეტეს მაშინაც, თუკი ეს სიმპტომები რამდენიმე დღეს გადაბმულად გრძელდება. შეტევა ან გაქცევა — ესენი სტრესის მხოლოდ ერთი

სტადიაა. არსებობს კიდევ ერთი — ეგრეთ წოდებული გამოვითვა, როცა ორგანიზმს სრული დატვირთვით ფუნქციონირება უჭირს და დასვენება სჭირდება. ნორმალურ მდგომარეობაში კაცმა ამ დროს დაღლილობაც შეიძლება იგრძნოს და უგუნებოდაც იყოს, მაგრამ თუკი ის ჯანმრთელია, ორგანიზმში საგრძნობი შეფერხება არ უნდა წარმოიშვას.

სტრესული სიტუაციებისგან თავის არიდება არავის შეუძლია, ამიტომ მთავარია მათ სწორად დასახვედრად ორგანიზმს მომზადება, რისთვისაც საჭიროა დღის განრიგის დაცვა. თუ სხეულმა „იცის“, როდის უნდა დაიძინოს, გაიღვიძოს, ჭამოს, მაშინ ნერვული სისტემა სტაბილურად ფუნქციონირებს; ფიზიკური აქტივობა ვარჯიშის დროს ორგანიზმში ის ჰორმონები გამოიშვავდება, რომლებიც სისხლში ნერვული დაძაბულობის დროსაც იფრქვევა. თუ ეს ყოველდღიურად ხდება, სხეული „კაჟდება“, მათ ეჩვევა და დიდ სტრესებსაც კი უფრო იოლად უმკლავდება. თანაც ეს ფიზიოლოგიური დონეზე, ქვეცნობიერად ხდება. იდეალურია, როცა ფიზიკური ვარჯიში ყოველდღე 30-40 წუთი გრძელდება. ფიტნესის ალტერნატივა შეიძლება იყოს ჩქარი სიარული ანდა ცურვა; ორგანიზმისთვის მაგნიუმის მიწოდება. თუ აუცილებელია ორგანიზმში ისეთ ნივთიერებათა გამოსაშვებად, რომლებიც სტრესთან ადაპტირებას უწყობენ ხელს. მაგნიუმს დიდი ოდენობით შეიცავს წინიბურა. თხილი, საზამთრო, ძალიან სასარგებლოა დღე-ღამეში არანაკლებ 6 საათი ძილი ამასთან სასურველია, რომ ის უწყვეტი იყოს, ხოლო დასაძინებლად შუალამედ წვებოდეთ.

ბისაროდე!

დიდი სისარული ენვია სალომეს და დათოს ოჯახს - 27 ივლისს პატარა მამო ცხვარიაში მოეველინა ქვეყანას.

ვულოცავთ დედას, სალომე კვიციანიძეს, მამას და- ვით ცხვარიაშილს, პატარა სანდროს და უკვე ორ- გზის ბაბუას ზაზა კვიციანიძეს ამ განუზომელ ბედ- ნიერებას. სასახელო ქალად აღგებარდოთ პატარა მამო.

თიკა თვალაძე, ბიბა ბაბრიძე



ღაიჯესტი

ვინაა ყველაზე „ყოჩაღი“?



სან-ფრანცისკოს აეროპორტში ერთობ კურო- ოზული ამბავი მოხდა: კონტრაბანდის ეჭვით მსოფ- ლიოში... ყველაზე გრძელი სასაქესო ორგანოს მქო- ნე მამაკაცი დააკავეს. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივ 24 სანტიმეტრის „ღირსება“ აღგზნებულ მდგომარეობაში 34 სანტიმეტრს აღწევს.

ბოლოგები ამბობენ, რომ საექიმო არა სიგრძეში, არა- მედ სიდიდის ტანთან შეფარდებაშია. ამ მხრივ „ჩემ- პიონია“ არგენტინული ლურჯისკარტა ტობის იხვი, რომელსაც 50 სანტიმეტრის სიგრძის „ღირსება“ აქვს, თავად კი მხოლოდ 20 სანტიმეტრის სიგრძისაა. სხვა- თა შორის, პენისი ძალიან ცოტა ფრინველს აქვს. ძუ- ძუმწოვართა შორის რეკორდსმენია ზოლიანი ვეშაპი (სიგრძე 3 მეტრი), სპილო, ბეჭემოთი რომელთა „სი- ამაყის“ სიგრძე დაახლოებით ერთი მეტრია, მერე მო-

დიან ცხენი (75 სანტიმეტრი), გარეული ლორი (45 სანტიმეტრი), უზარმაზარ პრიმატს გორილას კი რო- მელიც ადამიანს „ნათესავად“ ეკუთვნის, პენისის სიგ- რძე იშვიათად ქარბობს 8 სანტიმეტრს.

სანიჯათო საშუაენისაი

კბანდელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კანთან დიდი ხნის ურთიერთობის შედეგად ანუ, ელემენტარულად, სამშენისის - გულსაბნევის, ბეჭდის, საყურის, სამაჯურის და სხვა - ტარებისას, კეთილშობილი ლი- თონი - ოქრო, ვერცხლი, პლატინა - ორგანიზმში ნე- გატიური პროცესების პროვოცირებას იწვევს.

ეს, კერძოდ, ნერ- ვული სისტემის აღგზნებასა და ნივ- თიერებათა ცვლის შენელებას ეხება, რასაც დროთა განმავლობაში ჯანმრთელობას- თან დაკავშირე- ბით სერიოზული პრობლემა წარმოშობა შეუძ- ლია. აქედან გა- მომდინარე სპეცი- ალისტები გვირ- ჩევენ, რომ საყვა- რელი სამკაულე- ბი, ვთქვათ, ძველ კვებები, საყურეები, ბეჭდები და ა.შ. უმჯობესია ღამ- ღამობით მაინც მოვიხსნათ.



საეციალისტი გვიჩვენს

როგორ მივხედოთ კბილის პრობლემებს

● „პრობლემები თუ მოძრობადია“, ღამით მოიხსენით და წყლიან ჭიქაში ან სპეციალურ კო- ლოფში (აგრეთვე წყლიანში) შეინახეთ; უბრა- ლოდ სუფთა ან მადეზინფიცირებულ ნივთიერე- ბათა შემცველ წყლიანში; მაშინ პრობლემები ძა- ლიან აღარ გაშრება და აღარ დეფორმირდება. ● ყოველი ჭამის შემდეგ პირი და პრობლემე- ბი გამოირეცხეთ. არ დაანებოთ საკვების ნარჩე- ნებს ღრძილსა და პრობლემის შორის მოქცევა და ღრძილის დაზიანებები. ● ყოველი ჭამის შემდეგ განმინდეთ პრობლე- მები კბილის ჯაგრისით, შეიძლება ჯაგრისი კბი- ლისპასტიანით იყოს. ● არ დაგაგინდეთ პასტიანი ჯაგრისით დარ-

ჩენილი „მშობლიური“ კბილების განმენდა და ენი- დან დანალექის ჩამონმენდა. გულმოდგინედ მი- ადევნეთ თვალი ღრძილების მდგომარეობას; რაც უფრო დიდხანს დარჩებიან ისინი ჯანსაღნი, მით უფრო დიდხანს შეძლებთ პრობლემის ტარებას. ● თუ იგრძენით, რომ პრობლემა ყბაზე მოვამ- ფალებულად „ზის“ (ძვლის ქსოვილი სომ თანდა- თან პატარავდება), ექიმთან კონსულტაციის შემე- დეგ ისარგებლეთ დასამარგებელი წებოებით, პუდრებით ან ფხვნილებით. ● დასამარგებელ საშუალებებს როცა ყოველ- დღიურად იყენებთ, არ დაგაგინდეთ ღამით მათ- გან კარგად გასუფთავება პრობლემისა და ღრძილის შიდა ზედაპირისა.

ჩვენი პრესლაიჯესტი

კაქონი და ვახუტე



„დღეს მე მრცხვინია ჩვენი პარლამენტისა, ახალს ხმაზედავს ვაცხადებ“

რაც დრო გადის, უფრო ბევრი სახელოვანი ადამიანი გამოთ- ქვამს საყვედურს ახალი ხელისუფლების მიმართ. ყველას აქვს პრეტენზიები პარლამენტის და მთავრობის მიმართ... ერთ-ერთი მათგანი მომღერალი თამარ ჭოხონელიძე გახლავთ.

– იყო დრო, როცა მართლაც ვაქტიურობდი, ქვეყანას მკვლე- ლი, უსირცხვილო და მატყუარა ხელისუფლება მართავდა... აი, დღეს კი... დღეს მე ჩემი გარკვეული პოზიცია არ მაქვს... იცით, დაბნეული ვარ... როგორ შეიძლება „ნაციონალური მოძრაობა“ იჯდეს იგივე სკამზე და ქვეყანას მართავდეს... დასასჯელი უნ- და დაისაჯოს!

„ძრწონიკა“

რა მიითვისა გიული ალასანიაში?

მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია, რომელიც წლე- ბის განმავლობაში რიგითი მეცნიერ-მუშაკი იყო და მიზერულ გა- სამრჯელოს იღებდა, შვილის გაპრეზიდენტების შემდეგ საქარ- თველოს საგანმანათლებლო სფეროს მონოპოლისტი გახდა და მის ხელში აღმოჩნდა არაერთი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი და დიდძალი სახელმწიფო ქონება. როგორც „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია ამბობს, გიული ალასანია ქართული განათლების სისტემაში ექსპურსიამპლოლივით შემოუძღვა რადი- კალ ისლამისტ ფეთუღაპ გიულენს და მის თურქულ ფულს.

ბალათურია გიული ალასანიას კორუფციული საქმიანობის ბევრ სკანდალურს ფაქტს ამხელს.

„ასავალ-დასავალი“

„დედატათა ნაწილი ვადავდილ არჩვენას მხარს უჭირს“

– ამბობს ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტი ნანა დევედარიანი, – რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, აქ პლასტილინის კა- ცის ფონზე ძალიან მაღალი შანსები აქვს ბურჯანაძეს. თუ ბურ- ჯანაძე საპრეზიდენტო არჩევნებს მოიგებს, უკიდურესად მალა- ლია იმის ალბათობა, რომ მისი პარტია ძალიან გაძლიერდეს, არა, ადამიანები დაინახვენ ძალის ცენტრს და ადამიანებს აქვთ ამის მოთხოვნა, რადგან არჩევნებში მოგებულ „ქართულ ოცნებაში“ ძალა არ იგრძნობა. ეს ნაციონალებიც იმიტომ ბედავენ ამდენს.

„ახალი თაობა“

რა ელის უზულაფას – ცინი, იმპიჩმენტი თუ ახალი არჩვენა?

პანონაროიძე, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის არჩეუ- ლი მერის იმპიჩმენტი გახდება შესაძლებელი, „თავისუფალმა სა- ქართველომ“ მოამზადა. როგორც პარტიის თავმჯდომარე კახა კუკავა აცხადებს, აღნიშნული კანონპროექტის განხილვა პარლა- მენტში მომავალ კვირას დაიწყება.

თავის აზრს გამოთქვამს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე: „ეს პრო- ცესი რომ დაიწყოს პროცედურულად სულ მცირე ორი თვე მაინც დასჭირდება, ორ თვეში კი საპრეზიდენტო არჩევნები მოგვადგება. საქართველოს იმის არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური რესურსი აქვს, რომ ერთდროულად ორ პროცესს გაუძღვეს“.

„რაზონანსი“

როდის იკლავდა თავს სააკაშვილი?

2006 წელს პოლიტიკურ წრეებში გაგრძელდა და შემდეგ პრე- საშიც დაიბეჭდა ევროპის შვიდი ავტორიტეტული ფსიქიატრის კლინიკის დასკვნა სააკაშვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ბევრგან დაიწერა, რომ ფსიქიატრებს ამ კვლევის ჩასატარებლად სოლიდური თანხა გადაუხადეს, თუმცა უცნობია, ვინ იყო დამ- კვეთი... ფსიქიატრების პროგნოზი სკანდალური და დამაჯერე- ბელია: „ძალაუფლებისკენ ლტოლვამ სააკაშვილს შეიძლება და- აკარგვის სიფრთხილე და გადამწყვეტილებები სახიფათო აღ- მოჩნდეს. მისგან მოსალოდნელია პრობლემების პროვოცირება. მათ შორის, პოლიტიკური და საომარი კონფლიქტებიც“.

„კვირის პალიტრა“

კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

ძალს ისტერიკამდე ნებისმიერი რამე მი- იყვანს. კაცს – კი მხოლოდ ქალი. \* \* \* დირიჟორი გასტროლებზე გამგზავრების წინ ინსტრუქტაჟს ატარებს: – მივფრინავთ ინგლისში, ვვიდულობთ შა- ლეულს. შემდეგ მივფრი- ნავთ იაპონიაში, იქ ამ შა- ლეულს ვვიდით და ვვი- დულობთ აპარატურას, გბრუნდებით სახლში, ვვიდით იმ აპარატურას

და ვიჯიბავთ ფულს. კითხვები გაქვთ? – ინსტრუქტები წამოვიდოთ? \* \* \* – წარმოგიდგინებ, დილიდან ღამემდეგ ვმუშაობ, სახლშიც კი მიმაქვს სამუშაო, მაგ- რამ ცოლი მაინც უკმაყოფილოა... – რა პროფესია გაქვთ? – პათალოგოანატომი ვარ... \* \* \* – მამი, დღეს ჩვენს დედიკოს ვილაც ბი- ძია ეწვია. – ვინ ბიძია? – არ გეტყვი კომერციული საიდუმლოა!

ავტორთა საჭურავლოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორ- თა ხარჯით. ავტორთა მოსაზრე- ბები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხ- ვებოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მთვინი პერმისკაიას) ქ. 19 056000 66434 გამომცემელი: შპს „თანამშრომელთა“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ) 070 4(479.22) ს-323 ISSN 2233-3651 მთავარი რედაქტორი ალექს ალანოვიჩი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუბია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკაძე 514 33-33-24